645 1965 2







თებერვალი
№ 2 1965 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



სტუდენტთა ქალაქის გენერალუ-რი გეგმა.



მოტო-ოტელი დიღომში. პროექ-ტის ავტორები: ი. ჩიკვაიძე, ო. ქო-ჩაკიძე, ა. სლავინსკი.



დიღმის საცხოვრებელი მასივი.

გარეკანის პირველ გვერდზე

ასპირანტთა საერთო საცხოვრებ-ლის კორპუსის პროექტი.

ვაჟა-ფშაველას პროსპექტი. ავტ. შ. ყავლაშვილი.

რესტორანი „იორი" თბილისის ზღვაზე. ავტორი ლ. მესხიშვილი.

645
1965/2

ეროვნული ბიბლიოთეკა

# აშენდა, შენდება, აშენდება...

9753

თბილისი განლაგებულია მტკვრის ორივე მხარეზე, მთაგორიან ფერდობებზე. მდებარეობით, არქიტექტურით და გამწვანებით ის წარმოადგენს საბჭოთა კავშირის ერთერთ ულამაზეს ქალაქს. დღითი-დღე იზრდება და ლამაზდება დედაქალაქი. ყოველდღიურად შედის ექსპლოატაციაში ახალი საცხოვრებელი სახლები, საავადმყოფოები, კინოთეატრები და მრავალი სხვა ნაგებობა.

მიმდინარე შვიდწლედის ხუთ წელიწადში თბილისში ექსპლოატაციაში შევიდა 933 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი, ხოლო გასულ წელს თბილისელებს ჩაბარდა 172 ათასამდე კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი, აიგო 26 სკოლა და სკოლა-ინტერნატი, სადაც სწავლობს 36.200 ნორჩი თბილისელი.

შვიდწლედის განვლილ წლებში აშენდა მრავალი საავადმყოფო და პოლიკლინიკა, კერძოდ, ქალაქის მე-8 საავადმყოფო 325 საწოლით, ფსიქონევროლოგიური საავადმყოფო 205 საწოლით, და სხვა.

ახლო მომავალში აშენდება ექსპერიმენტული და კლინიკური ქირურგიის ინსტიტუტის კომპლექსი (პროექტის ავტორებია გ. ჭიაურელი, გ. ბარაბაძე, გ. გიორგაძე), ბავშვთა საავადმყოფო 120 საწოლით, სისხლის გადასხმის ინსტიტუტი და მრავალი სხვა სამკურნალო დაწესებულება.

ეს მზარდი მშენებლობა ნათლად მეტყველებს იმაზე, თუ როგორი დიდი ყურადღება ექცევა საბჭოთა ქვეყანაში ადამიანს, მისი საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებას, მის სწავლას, მის ჯანმრთელობას.

შენდება თბილისი, ლამაზდება და იზრდება. ჯერ კიდევ ბევრს ახსოვს ძველი თბილისი, მისი ვიწრო ქუჩები და ის, რომ ვაკე და საბურთალოს დასაწყისი ქალაქის გარეუბნები იყო. და აი, ამ ბოლო წლებში ჩვენ ქალაქს შეემატა მრავალი ქუჩა და პროსპექტი. რუსთაველის და პლეხანოვის პროსპექტებს მეტოქეობას უწევს ვაჟა-ფშაველას, წერეთლის და მოსკოვის პროსპექტები. თითოეული მათგანის სიგრძე დაახლოებით 3-4 კილომეტრია, სიგანე კი — 40-50 მეტრი.

თბილისში სანაპიროების მშენებლობას დიდი ყურადღება ექცევა, რადგან ისინი ძირითადი მაგისტრალებია, როგორც ქალაქის, ასევე ტრანზიტული ტრანსპორტისათვის.

მტკვრის მარცხენა სანაპირო იქნება ერთერთი უმოკლესი მაგისტრალი, რომელიც დააკავშირებს დიღმის მასივს ქალაქის ცენტრთან.

პროსპექტებს არაფრით ჩამოუვარდება ავჭალისა და კახეთის გზატკეცილი, საქართველოს სამხედრო გზა და კიდევ მრავალი ქუჩა და მაგისტრალი, რომლებიც ფართოვდებიან და იზრდებიან თბილისთან ერთად.

ახალი პროსპექტების გასწვრივ აღმართულია რვასართულიანი 172, 130, 77 და 65-ბინიანი საცხოვრებელი სახლები.

შვიდწლედის დასაწყისში სანაპირო დაამშვენა 200-ბინიანმა საცხოვრებელმა სახლმა (პროექტის ავტორებია შ. ყავლაშვილი, გ. მელქაძე და ლ. ხარაშვილი).

ამ სახლის პირველ სართულში განლაგებულია: კინოთეატრი „ნაკადული", ბავშვთა სტომატოლოგიური პოლიკლინიკა, ბავშვთა ატელიე, მზა ტანსაცმლის მაღაზია. წელს აქვე გაიხსნა თბილისის ქორწინების სასახლე, რომლის ინტერიერის შექმნაში დიდი გემოვნება გამოამჟღავნეს ძმებმა ოჩიაურებმა. იგი შექმნილია ძველი ქართული ხუროთმოძღვრული ტრადიციების შერწყმით ახალ კლასიკურ ფორმებთან.

ქართული ხუროთმოძღვრული ტრადიციების ახალთან შერწყმის ძეგლს წარმოადგენს აგრეთვე ჩვენი სპორტის სასახლე, რომლის ავტორებია არქიტექტორები ლ. მესხიშვილი, ი. კასრაძე და ინჟინერი დ. ქაჯაია.

მისი უზარმაზარი გუმბათი შექმნილია ყოველგვარი შეფიცრულობის გარეშე, რაც მეტყველებს ჩვენი სამშენებლო ტექნიკის მაღალ დონეზე.

წელს თბილისს შეემატა საბავშვო საციგურაო სპორტული დარბაზი, რომლის კარი მთელი წლის განმავლობაში ღია იქნება ნორჩი თბილისელებისათვის.

საციგურაო დარბაზი. პროექტის ავტორი თ. აბაშიძე.



მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე გაიხსნა ღია მოედანი გორგოლაჭებიანი ციგურებისათვის, რომლის ფართობი 1200 მეტრია, აქ არის გასახდელი 85 კაცისთვის, შხაპი, მწვრთნელის და ექიმის ოთახები და ა. შ.

აქვე მოწყობილია ველო-გაქირავების პავილიონი, რომელიც საათში 35-40 ბავშვს ემსახურება.

ფიზკულტურის ინსტიტუტის ტერიტორიაზე ამ მოკლე ხანში გაიხსნება დახურული საცურაო აუზი, რომელიც ერთ ცვლაში 50 კაცს მოემსახურება და 1270 მაყურებელს იტევს.

ამ ბოლო წლებში აშენდა მრავალი რესტორანი, კაფე, მაღაზია, რომლებიც თავიანთი არქიტექტურით ალამაზებენ ქალაქს. მარტო რუსთაველ-

ლის პროსპექტზე ამ მოკლე ხანში რეკონსტრუირებულ და აშენებულ იქნა „ბროლის“ მაღაზია, კაფეები — „მეტრო“, „ყავა“ და „ნარგიზი“.

რესტორანი „იორი“ ამაყად გადაჰყურებს თბილისის ზღვას, თითქოს და მადლობას უხდის მათ, რომლებმაც შექმნეს იგი, გააცოცხლეს წინათ უკაცრიელი ველი, აქაურობა აქციეს ხალხის დასასვენებელ ადგილად.

ყოველწლიურად იზრდება თბილისში ჩამოსულ ტურისტთა რიცხვი, და განა შეიძლება იყო საქართველოში და არ ნახო ჭაღარა თბილისი, მისი ძეგლები — ძველი და ახალი, მისი ხალხი, რომლის შემოქმედება და ნიჭი მას სახელს უთქვამს მსოფლიოში, ამასთან დაკავშირებით, თბილისში მკვეთრად გაიზარდა სასტუმროების, მოტო-ოტელების და ტურბაზების მშენებლობა.

სპორტის სასახლე. პროექტის ავტორები: ი. კასრაძე, ლ. მესხიშვილი და ინჟინერი დ. ქაჯაია.



ჩვენ სტუმრებს გულთბილად უღებს კარს 460-ადგილიანი სასტუმრო „აფხაზეთი“ ვაჟა-ფშაველას პროსპექტზე, 240-ადგილიანი სასტუმრო „ტურისტი“ ვაკეში, 150-ადგილიანი სასტუმრო სახელმწიფო ცირკისათვის და მრავალი სხვა.

სკოლა დიღმის მასივში. პროექტის ავტორი ნ. ფირცხალაიშვილი.



ყველა სასტუმრო კეთილმოწყობილია, ნომრებს ახლავს ლოჯიები ან აივნები. იქვეა რესტორნები, სასადილოები, კლუბები და სხვა.

ამჟამად არქიტექტორ ო. კალანდარიშვილის და ცხომელიძის პროექტის მიხედვით რუსთაველის პროსპექტზე დაიწყო 20-სართულიანი სასტუმრო „ინტურისტის“ მშენებლობა, რომელიც ერთდროულად მიიღებს 547 უცხოელს.

თბილისში ჩამოდის მრავალი ავტო-ტურისტი და არც ისინი დაავიწყდათ ჩვენს არქიტექტორებსა და მშენებლებს. ამ შვიდწლედში საექსპლოატაციოდ გადაეცა იპოდრომის ტერიტორიაზე მდებარე ავტო-ტურისტული ბანაკი 135 ავტო-ტურისტისთვის 210 ადგილიანი მოტო-ოტელი დიღომში, და 153 ავტო-ტურისტისთვის — სამხედრო გზაზე. მოტო-ოტელები კარგად არის მოწყობილი, იქვეა სასადილო, ბუფეტი, სანიტარული კვანძები — შხაპებით, თვითმომსახურების სამრეცხაო და სამზარეულო, ავტომანქანების გასარეცხი ბაქანი, სავაჭრო ფარდული, საცეკვაო და სპორტული მოედნები და სხვა.

შეუძლებელია ყველაფრის ჩამოთვლა, თუ რა აშენდა ჩვენს ქალაქში ამ გასული ხუთი წლის მანძილზე. ყოველ რაიონში, თითქმის ყოველ ქუჩაზე ჩვენ ვხედავთ ხარაჩოებს. ახლდება და იზრდება ჩვენი თბილისი. უფრო მჭიდროდ უკავშირდებიან ერთმანეთს ქალაქის სხვადასხვა რაიონები: 630 მეტრზეა გადაჭიმული დიდუბე-საბურთალოს საბაგირო გზა. შენდება ბარათაშვილის სახელობის ორსართულიანი ხიდი, რომლის ზედა სართულზე იმოძრავებს ტრანსპორტი, ხოლო ქვედა სართული ფეხით მოსიარულეთათვისაა განკუთვნილი. ხიდი დააკავშირებს კიროვისა და 26 კომისრის რაიონებს.



200-ბინიანი სახლი სანაპიროზე. პროექტის ავტორები: ლ. ხარაშვილი, გ. მელქაძე და შ. ყავლაშვილი.

მალე აგუგუნდება მეტრო, განიტვირთება ტრამვაი-ტროლეიბუსები და სხვა მიწისზედა ტრანსპორტი.

შენდება თბილისის რადიოსა და ტელევიზიის სახლი, რომლის პირველი კომპლექსი დამთავრდება 1965 წელს. მიმდინარეობს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კიბერნეტიკის ინსტიტუტის მშენებლობა, 1965 წელს კი დაიწყება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მექანიკა-მათემატიკის და ეკონომიური ფაკულტეტების სასწავლო კორპუსების, სამეცნიერო ბიბლიოთეკის და სააქტო დარბაზის, აგრეთვე, საქართველოს სამედიცინო ინსტიტუტის და პოლიტექნიკური ინსტიტუტის კორპუსების და კიდევ სხვა მრავალი ნაგებობის მშენებლობა.

საპროექტო ინსტიტუტის „საქქალაქმშენსახპროექტის“ არქიტექტორებმა გ. კედიამ, ლ. ქაჯიბეილიმ და გ. ჯაფარიძემ შექმნეს სტუდენტთა ქალაქის კვარტალის მოშენების პროექტი, რომლის მიხედვით უკვე მიმდინარეობს რეკონსტრუქცია. არ გავა დიდი დრო და სტუდენტთა ქალაქი მოგვევლინება შემდეგი სახით:

აქ აღიმართება 17, 8 და 5-სართულიანი საცხოვრებელი კორპუსები, ორდარბაზიანი სასადილო 800 კაცზე, მექანიკური სამრეცხაო, სტუდენტთა სახლი 800-ადგილიანი მაყურებელთა დარბაზით, 300-კაციანი ლექტორიუმით, სასპორტო დარბაზით და ბიბლიოთეკით, პოლიკლინიკით და აფთიაქით, მომსახურე პერსონალის საცხოვრებელი სახლით და სხვა.



კაფე „მეტრო“. პროექტის ავტორები: ფოცხიშვილი, მიქელაძე, მაჩაბელი და კამოევი.

დიღმის, საბურთალოს და 26 კომისრის რაიონის მასივების მშენებლობა დღითი-დღე იზრდება. შენდება რვა და ხუთსართულიანი სახლები, სკოლები, კინო-თეატრები და სხვა ნაგებობები.

ამ მასივების ახალ, კეთილმოწყობილ ბინებში გადასახლდა მრავალი ათასი მაცხოვრებელი, მაგრამ ჯერ როდი დამთავრდა ეს შესახლება. იგი გაგრძელდება მანამდე, სანამ ყოველი თბილისელი არ იქნება დაკმაყოფილებული საცხოვრებელი ბინით.

ჩვენ, თბილისელები უნდა გავუფრთხილდეთ ჩვენს უძველეს ქალაქს, მოვუაროთ მის ძეგლებს, მის შენობებს, მის ქუჩებსა და მოედნებს, რომლებშიც ჩაქსოვილია ქართველი ხუროთმოძღვრების, მშენებლების და მთელი ქართველი ხალხის დიდი ამაგი და სიყვარული.

**თინათინ ქუთათელაძე,**

**საქართველოს სსრ მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ხოვლელი ქალები

მატარებლები მისრიალებენ ქართლის ველებზე, ზოგი მიდის, ზოგი მოდის. ყველას თავისი გზა აქვს, თავისი დანიშნულება. გრაკლის სადგურის ჩიხში ყოველდღე დგება ცარიელი ვაგონი. ხუთი, ათი, ოცი, — ითვლის მორიგე. იქვე ახლოს ცისკენ მიიწევენ ჭარხლის ზვინები. კონვეიერზე მოდის და მოდის ჭარხალი. იცლება რიგში ჩამდგარი მანქანები. ივსება ცარიელი ვაგონები. მერე ელმავალი აგარის გზას გაუყვება.

შორს ვეება სოფელი ჩანს. ეს ხოვლეა, ივანე ჯავახიშვილის სოფელი.

მრავალი ქალია ამ სოფელში. სამი მათგანი ყველასაგან გამოირჩევა: ვერა, ალექსანდრა და თამარი.

## სოფლის ენციკლოპედია

სამოცდაათი წლისაა. სახეზე ჟამთა ნაკვალევი ამჩნევია. ვერა და ვერ მოერია სიბერე. სოფელში ცოცხალ ენციკლოპედიას უწოდებენ ალექსანდრა მახარაძეს. იგი გასაოცარი სიზუსტით გეტყვით რევოლუციის წინადროინდელ ამბებს. მოწიფული ქალიშვილი იყო მაშინ და სხვებივით მწარედ განიცდიდა სიღატაკეს. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას გათხოვილი შეხვდა საშა. უჭირდა ოჯახს. ზედიზედ უკვდებოდა შვილები. მერე ქმარი გარდაეცვალა. დარჩა ორი ობოლი.

1932 წელი იდგა. ხოვლეში კოლმეურნეობა შეიქმნა. თექვსმეტი კომლი გაერთიანდა და საშა მახარაძის ცხოვრებაში ახალი ხანა დაიწყო. პირველი ჩადგა ბრიგადაში შავოსანი ქალი. ჩადგა და დაიწყო სოფლის ბობოლებთან ბრძოლა. კარგად ახსოვს საშას თითო ჯამით შეგროვილი თესლი, პირველი მოსავალი. ნელნელა გაზრდილი საკოლმეურნეო ცხვრის ფარა. კალთებაკარწახებული უდგა ბრიგადას.

მას მერე კრიალოსანის მარცვლებივით დაითვალა დღეები. მას მერე ომიც გადაიტანა სოფელმა და ლხინიც. ალექსანდრა მახარაძეს ხელიდან არ გაუშვია თოხი. დაფრთიანდნენ ობლებიც. ქალიშვილმა საკუთარი ოჯახი შექმნა. ვაჟმა კარგად შეისწავლა მანქანა. თბილისიდან ამოუვლის ხოლმე დედას.

საშამ კი გული ვერ იჯერა შრომით. ვინ იცის, რამდენჯერ იყო კოლმეურნეობის გამგეობის წევრი, სარევიზიო კომისიის წევრი, ადგილობრივი და რაიონული საბჭოს დეპუტატი!

ახლა რგოლს დატრიალებს, შეუძახებს მის წევრებს, ზოგს საქმეს უწუნებს, ზოგს უქებს. გასულ წელს მისმა რგოლმა ჰექტარზე 1200 ცენტნერი შაქრის ჭარხალი და 70 ცენტნერი სიმინდი მიიღო. რგოლი მოწინავეა ბრიგადაში. ხვავდება ალექსანდრა მახარაძის ხელით მოწეული დოვლათი.

## შრომით მიღწეული დიდება

მამით ობოლი ხუთი წლის ვერა ბატებს მწყემსავდა. მის გარდა კიდევ ერთი შვილი ჰყავდა ანა ბეჟიტაშვილს. ცალად დარჩენილმა დედამ ვერ ზიდა უღელი. შინაურებმა მას გათხოვება ურჩიეს, სასიძოც მოძებნეს, ჩინელი ტუხო ჯუჯან-ქაი, რომელმაც კარგი მამობა გამოიჩინა ობლებისადმი. ოთხი კლასი დაამთავრა ვერამ. ოჯახურ საქმიანობას მიჰყო ხელი. მალე თხუთმეტი წელიც შეუსრულდა და... საპატარძლოდ მორთეს. მერე ხოვლელთა მაყრიონმა ურმით წაიყვანა გიორგი ხუციშვილის ოჯახში.

ომმა ხუციშვილების ოჯახსაც მიაკითხა. გაიხურა სახლის კარი გიორგიმ და აღარც შემოუღია.

ერთი კვირის დარჩა ბიჭუნა ვერას. საზრუნავი დიდი ჰქონდა გამოუცდელ ქალს. უჭირდა სოფელს. უჭირდა ვერა ხუციშვილსაც. არც გლოვის დრო ჰქონდა და არც ფიქრის. ოჯახი 'თავისას

ვერა ხუციშვილი





ალექსანდრა მახარაძე (მარცხნივ) და ნელი მჭედლიშვილი.

მოითხოვდა. მალე კოლმეურნეობაში ქმრის მაგიერ ჩადგა ბრიგადაში.

ახლა ვერა ხუციშვილის სახლში სათუთად ინახება ღერბიანი წიგნაკი: „საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო" — აწერია ზემოდან.

დიახ, ახლა უმაღლესი საბჭოს დეპუტატია ვერა. შრომით ავიდა ამ სიმაღლეზე. დეპუტატი რგოლს ხელმძღვანელობს, საშა მახარაძესთან ერთად გაიპიროვნა შაქრის ჭარხლის, სიმინდის, ხახვის ფართობები. 1200 ცენტნერი შაქრის ჭარხალი, 70 ცენტნერი სიმინდი, — ასეთია მათი ხელით მოწეული ბარაქა.

დეპუტატისა სჯერათ უმაღლეს საბჭოში. ვერაც ლაპარაკობს სოფლის გასაჭირზე და აი, მდინარეზე ხიდი აიგო.

ხოვლეში კულტურის სახლი დამთავრდება. ვერამ იბრძოლა ამისთვისაც.

ახლა არხის გაყვანაზე ფიქრობს იგი.

შრომაში მოუღლელ ქალს ბევრი აქვს ხვალინდელ დღეზე საფიქრალი.

## როცა შვილები ჭერს ახარებენ...

თამარ ბახტაძეს მარტო შრომით როდი იცნობს სოფელი. მისი სახლი ბავშვებითაა სავსე. რვა შვილის დედაა თამარი.

როცა დიღმელ მიხეილ ხოსიტაშვილს თამარი

შეეძინა. დიდად არ გაუხარდა ოჯახის უფროსს.

1914 წელი იყო. რევოლუციურად განწყობილ ხოსიტაშვილებს ბიჭების დაბადება უხაროდათ. გოგონები კი მრავლდებოდნენ და მრავლდებოდნენ

ადრე შეუდგა თამარი შრომას. მისი პატარა თითები ძაფს გრეხდა მაუდის ფაბრიკაში. მერე სიყვარულსაც ვერ დააღწია თავი. თვრამეტი წლის გოგონა ისაკ ბახტაძის მეუღლე გახდა.

ხოვლეში დასახლდა თამარი და მალე პირველი აკვანი დაირწა.

მას მერე ბევრი რამ მოხდა სოფელში. თამარს ზედიზედ უჩნდებოდა შვილები. საკოლმეურნეო ზვრებში მიწას ებრძოდა დაზგას მიჩვეული ხელები. კაკლის ჩეროს ქვეშ იზრდებოდნენ ბიჭუნები.

ომიდან ინვალიდი დაბრუნდა ისაკი. წისქვილი ჩააბარეს ომგადახდილს. თამარმა ვენახი აიღო მოსავლელად. 0,74 ჰექტარ ვენახს დაძაბული შრომა სჭირდებოდა. არც სხვა კულტურები დაივიწყა, 1 ჰექტარი სიმინდი, ერთი ჰექტარი კომბოსტო გაიპიროვნა თამარმა.

1963 წელს პრემიის სახით ოჯახს ერგო 1 800 კგ ყურძენი, 1500 კგ სიმინდი, ხახვი და სხვა.



თამარ ბახტაძე

გასულ წელს ცუდი ამინდი დაუდგა ვენახს. სახელმწიფოს მაინც ჩააბარეს 60 ცენტნერი ყურძენი, 66 ცენტნერი სიმინდი, დიდძალი კომბოსტო.

უთენია იღება თამარის სახლის კარი. ექვსი ვაჟი გამოდის მისი სახლიდან. ზოგი თბილისში, სახელოსნო სასწავლებელში სწავლობს და იქ მიეშურება, ზოგი საკოლმეურნეო შრომაშია ჩაბმული. მეშვიდემ ახლახანს გადაფურცლა დედაენა, მერვემ ახლახან აიდგა ენა.

თამარი ხეხილის ბაღისაკენ მიდის. აქედანვე ამზადებს სამერმისოდ. სასუქებს შეტანა უნდა, ხეხილის ძირებს— გაშობარვა.

მინდორში იწყება მისი დილა.

**ნორა ედიშერაშვილი**




მ ო თ ხ რ ო ბ ა

მხატვარი დ. ზ ა რ ა ფ ი შ ვ ი ლ ი

მხრებში თავჩარგული ოთხიოდე წლის ბიჭუნა თითქოს თვალდახელშუა დაპატარავდა. ბავშვს სახეზე სასოწარკვეთა ჰქონდა ასახული; აკი მან გააფუჭა ტელეფონი.

ახალგაზრდა, ჯანღონიანმა მონტიორმა, რომელსაც გულღია კეთილი სახე ჰქონდა, აპარატი დაათვალიერა და ავტორიტეტულად განაცხადა:

— ჰ-ო-ო... სერიოზული საქმეა...

ბიჭმა არ ვიცი ამოისლუკუნა, არ ვიცი შეხტა, თითქოს შიგნიდან ვიღაცამ უბიძგა.

— ამ საქმეს გარკვევა სჭირდება, — მონტიორმა კიდევ ერთი ხრახნი მოხსნა და ბიჭის წინაშე აპარატის შიდამოწყობილობის მთელი საოცრება გადაიშალა.

ბიჭს თავისი დარდი დაავიწყდა, ახლოს მიიწია, რომ კარგად დაენახა.

მონტიორმა მის ოდნავ აღტაცებულ, ცნობისმოყვარე თვალებს შეხედა და ჰკითხა:

— რა გქვია?

— გივი, — ძლივს გასაგონად უპასუხა და თვალები დახარა.

— გივი... ეს რა გიქნია, გივი, ჰა?

— მამასთვის მინდოდა დამერეკა... — დაიწყო ბიჭმა თავის მართლება, — დედამ კი... ჩამოხტომა დავაპირე და... ტელეფონი გადმოვარდა.

— ხელს ნუ უშლი ადამიანს! — მკაცრად უთხრა დედამ და გულდაგულ გაწმენდილი ჭიქა მაგიდაზე დადგა. ქალი მომცრო ტანისა იყო, მოღლილი სახე და სევდიანი თვალები ჰქონდა.

— რაღაც დაიშავა, ალბათ, შენმა ტელეფონმა, — უთხრა მონტიორმა და მუშაობა განაგრძო. — მაგრად დაიშავა, მაგრამ, არა უშავს, არ მოკვდება! ჩვენ მას ახლა ოპერაციას გავუკეთებთ და ისევ იცოცხლებს.

— მართლა? — იმედიანად ჰკითხა გივიმ.

— მართლა. — მონტიორმა ილლიაში მოჰკიდა ბიჭს ხელი და აპარატის გვერდით მაგიდაზე დასვა. — ისწავლე, იქნება შენც მონტიორი გამოხვიდე, საჭირო პროფესიაა.

გივი ჯერ ისევ გაჩუმებული ქვეშ-ქვეშ იყურება; მაგრამ მოკუმულ ბაგეზე უკვე იმედიანი ღიმილი უთრთის. ღიმილი საცაა თვალებს მოედება, სახეზე გადმოეღვრება, თითქოს არაფერი არ მომხდარა.

მონტიორი აპარატში ფუთფუთს განაგრძობდა.

— მართლა, ცხენი თუ გყავს, შავი ცხენი?

— არა, არა მყავს ცხენი, — ამოიოხრა ბიჭმა.

— ეგ ცუდია... არვარგა... ჩვენ ახლა აი აქ ჩავიხედოთ... ეს შევამოწმოთ... მერე შეგიძლია მამას დაურეკო და უთხრა: „ალო, მამიკო! გივი ვარ, შენი შვილი. მიყიდე რა, ცხენი“, თორემ ეს რასა ჰგავს — ზოგ ბიჭს ჰყავს ცხენი, ზოგს კი არა.

ბიჭმა ფართოდ ბედნიერი სახით გაიღიმა, მაგრამ მაშინვე მოიღრუბლა.

— დედა ნებას არ მისცემს, — დაიჩივლა ჩურჩულით.

განრვიულებულმა დედამ კიდევ ერთი ჭიქა დადგა მაგიდაზე და გაღიზიანებით უბრძანა:

— ხელს ნუ უშლი-მეთქი ადამიანს, ხომ გითხარი.

მაგრამ ბიჭს არც გაუხედია დედისკენ.

მონტიორი აპარატის შეკეთებას განაგრძობდა, თან, არ ვიცი ბიჭის გასაგონად, თუ თავისთვის, ხმადაბლა ლაპარაკობდა:

— შვილი მეცა მყავს... იმასაც გივი ჰქვია... დღეს სამი წლისა გახდა.

— მე კი ოთხისა ვარ, მეხუთეში, — წაიტრაბახა გივიმ.

— ...დღეს ცხენი ვუყიდე, — განაგრძობდა მონტიორი... — მაგარი ფეხები და ოქროსფერი უნაგირი აქვს, შეჯექი და გააჭენე. ჰო-ო...

გივიმ თავდავიწყებით გაიღიმა და ფრთხილად მოავლო ხელი ცუდად გაუთოვებულ პერანგის ღილებზე.

— დედა, — წამოიძახა მან შეწუხებული და გაოცებული სახით. — შეხედე, ძიას სულ სხვადასხვანაირი ღილები უკერია, გამოხეულიცა აქვს.

მონტიორმა უხერხულად გაისწორა საყელო და ნაღვლიანად გაიღიმა.

მაგრამ ქალი არც სხვადასხვა ღილებს შეუწუხებია, არც გამოხეულ პერანგს.

— ძიას ცოლი ჰყავს, — უპასუხა ბავშვს

მშრალად. — ღილებსაც ის დაუკერებს და დაკემსვითაც ის დაუკემსავს

უცბათ, თითქოს თავისთავზე გული მოუვიდაო, მონტიორმა ყურმილში ხმამაღლა ჩასძახა.

— ალო!.. რაზმაძე ლაპარაკობს! გესმის?.. ...შემოწმებაა!

ყურმილი ადგილზე დადო და უკვე დაწყნარებულმა სთქვა:

— ღილის დაკერება რა არის?! ადვილი საქმეა, აიღებ და მიაკერებ. დაკემსვაც ადვილია... ჩემი ცოლი კი დამიკემსავდა... — ხარბად მოქაჩა პაპიროსი, მაგრამ ისევ გადასდო, ჯიუტ ყბებზე ხელები მოიჭირა, თითქოს დამალული სიტყვების შეჩერებას ლამობდა, რომელთა თქმაც ბოლომდე არ უნდოდა უცხო ადამიანისათვის.

ოთახში სიჩუმე ჩამოვარდა.

პატარა, მოღლილმა ქალმა, თითქოს სხვათაშორის, უთხრა.

— პალტო გაგეხადათ, ჩვენთან ცხელა.

მონტიორმა მორცხვად გაიხადა პალტო და გვერდზე გადასდო; იქნებ ამასაც სხვადასხვანაირი ღილები აქვს და გამოგლეჯილიც არის. ქალი ყურადღებით უყურებდა.

უპალტოოდ მონტიორმა შინაურული და უბრალო შესახედაობა მიიღო.

— ჩემი ცოლი შესანიშნავი დიასახლისია! არ ვეგონოთ... — ნაზად სთქვა მან და მაშინვე აღელვებით დაურთო: — როგორ უნდა დამიკეროს ეს ოხერი ღილები, როცა ქალაქის ერთ ბოლოში ისა ცხოვრობს, მეორეში კი მე.

გივი ფრთხილად შეეხო საბედისწერო ღილებს, მონტიორი კი განაგრძობდა:

— მეც კავშირგაბმულობაში ვმუშაობ და ისიც. ორმაგი კავშირი გვაქვს, — დარცხვენით გაიღიმა. — ვერავითარი ძალა ვერ გაგვთიშავთო... აკი გაგვთიშა...

ქალი ყურს უგდებდა, თან სუფთა ტილოთი ერთსა და იმავე ჭიქას წმენდდა, თითქოს ამაზე საჭირო საქმე აღარა იყო რა ამ ქვეყნად. ხელები ოდნავ უთრთოდა, მუქი თვალის უპეები უფრო ჩაუმუქდა.

— საერთო საცხოვრებელში ვცხოვრობდი, — მონტიორმა ყურმილი აიღო, თითქოს ასე უფრო იოლად გაუმკლავდებოდა მოწოლილ სიტყვებს: — ვმუშაობდი, თან ვსწავლობდი, ღონე მინდორდა მომეკრიბა. მუხა რომ მუხაა, ისიც ვერ იკრებს უცებ ძალას. — რატომღაც ტელეფონის დისკი დაატრიალა, ცოტახნით შეჩერდა და მძიმე ოხვრით სთქვა: — ცოლი ვითხოვე... მასთან მომიხდა ბინაში გადასვლა. საერთო საცხოვრებლის ამხანაგებს გამოვეთხოვე, გული დამწყდა: — მართალია იქ კაცს მარტო საწოლი ვაქვს, მაგრამ უბატონოდ კაცი ხმას ვერ გაგცემს. ამხანაგებს შურდათ კიდეც: ბინა, აბაზანა, ტელეფონით... ჩემი სიმამრი ტრესტში ბუღალტრად მუშაობს და, რომ იტყვიან, შეძლებული კაცია. ჩვენ კი პირიქით, ახალგაზრდები ვიყავით, ბარგი-ბარხანის შეძენა ვერ მოვასწარით. ვიფიქრე სწავლას დავასრულებ და წავალთ მეთქი...

რაზმაძემ მილი ყურთან მიიტანა, მემბრანას ჩაჰბერა და განაგრძო...

— გადავედი... მაშინვე დაიწყო... თვალში არ



მოუვედი. პირველ ხანებში, როცა მე მაგიდასთან ვიჯექი, ხმას არ იღებდნენ. ქვეყნად ისეთი საწყენი და მძიმე სიტყვა არა არსებობს რა, როგორიც სიჩუმეა. სიტყვას იტყვი და თითქოს ქვა ვარდება წყალში, მხოლოდ წრეებიღა რჩება მისგან. — მონტიორმა დახვეული შნური გაასწორა და ყურმილი დადო. — გაივლის, მომეჩვენა მეთქი, ვიფიქრე... ამასობაში ბიჭიც გამიჩნდა. ჩემი ცოლი ავად გახდა. მაშინ კი ჩამოწვა შავი ღრუბელი. ჩემდამი მშობლების ზიზღმა იფეთქა: „კულტურული, შეძლებული ხალხი ვართ... ასეთი ლამაზი გოგო ბინიან ინჟინერს გაჰყვებოდი... შენ კი ვიღაც მონტიორი მოიყვანე მზამზარეულ ქონებაზე! წყეულიმც იყოს ისეთი ქონება, რომლის სიმძიმე ცოცხალ კაცს ტვირთად დააწვება. ჩემი ცოლი ალალი ქალია, მაგრამ სუსტი გული აქვს. „მიყვარხარ, მაგრამ შენ თითონ თქვი, ჯერ მოწყობილი არა ვართ, მშობლების გარეშე შევძლებთ ცხოვრებასო?“

რა თქმა უნდა, შემეძლო ყურადღება არ მიმექცია, მაგრამ რომელი ჯანღონიანი ვაჟკაცი მოითმენს, სამადლოდ არჩენინოს ვინმეს თავი?! სხვისი ნაშოვნი ლუკმა ყელზე დაგადგება.

ქალმა, თითქოს აუტანლად დასცხაო, ფანჯარა

ფართოდ გამოაღო და ისევ თავის ჭიქებს მოჰკიდა ხელი.

— ისევ საერთო საცხოვრებელში დავბრუნდი, — განაგრძობდა მონტიორი, — მხიარული კაცი ვიყავი და ჯავრმა ყველაფერი ჩამიკლა, დამაჩლუნგა. სულ იმის შიში მიჭამს გულს, ჩემს გივიკოს ხომ არაფერი დაემართა მეთქი... ღამე გამეღვიძება და მზადა ვარ ქალაქის მეორე ბოლოში გავიქცე... ცოლთან პაემანზე ქურდივით მივიპარები. მივალ, კიბის თავში გავჩერდებით, თან აქეთ-იქით ვიყურებით, მეზობლებმა არ დაგვინახონო. გივი კი მეხვევა, მკოცნის, მთხოვს: „მამა, მოდი, ჩვენთან იცხოვრე! როდის აღარ წახვალ?“

ბიჭი აწრიალდა, თითქოს ეუხერხულებოდა იმ კაცის გვერდით ჯდომა, რომელიც მზად იყო ატირებულიყო. მაგრამ მონტიორი არ ატირებულა.

— ჩემს ცოლს მხოლოდ ამასა ვთხოვ, — თითქმის წამოიყვირა გაცეცხლებულმა. — წავიდეთ! ჩვენს ბედნიერებას მოვუფრთხილდეთ! ოჯახი დავიცვათ! მარტო დიდ ქალაქებზე ხომ არ დამდგარა ქვეყანა. სოფელი დიდია, ღონიერი ხელები გვაქვს, ყველგან სიამოვნებით შეგვხვდებიან... ე-ჰე, რა უნდა სთქვა კაცმა! ჩემი ცოლი თავის საცხოვრებელ ფართობს ველარა შორდება, მოფარდაგებულ დივანს, სამზარეულოს გაზის ღუმელით. ქვეყანას თავისი მშობლების ფანჯრებიდან გასცქერის!

რაზმაძემ საყელოზე საბედისწერო ღილები შეიხსნა და ოხვრას თითქოს გული ამოატანა.

— გეკითხებით, რომელია ჩვენში დამნაშავე, ვინაა დამნაშავე, რომ ჩემს ბიჭს ცოცხალი მშობლები ჰყავს და უსახლკარო ობოლი კია?! —მონტიორმა კითხვით შეხედა დიასახლისს, თითქოს გადაუდებელ პასუხს მოელოდა მისგან. აბონენტი 17-30, გივის დედა, პატარა ქალი მომთმენი თვალებით, მონტიორს უცბათ ისეთივე უბედური მოეჩვენა, როგორიც თვითონ იყო — და ცოტა ხნის დუმილის შემდეგ სთქვა:

— თქვენა გგონიათ, ბედნიერების იმედი დავკარგე? გგონიათ, არ არსებობს ოჯახური ბედნიერება? ეგ მე მკითხეთ; სასწრაფო დახმარების ექიმივითა ვარ, სხვადასხვა სახლებში დავდივარ, სხვადასხვა ადამიანებს ვხედავ, ზოგიერთ სახლში შეხვალ, ვერაფერს განსაკუთრებულს ვერ შეამჩნევ, მაგრამ ბედნიერება ყოველი კუთხიდან შემოგცეცინებს. ბედნიერებას სახლში სუნითა ვგრძნობ. ბედნიერ სახლში სითბოა, სიცოცხლის სუნი ტრიალებს, ტელეფონიც კარგ რამეებს ამბობს, მხიარულად რეკავს. ზოგ სახლში კი აპარატი ავი სულივითაა, შნურიც ზედ გველივით ჰკიდია. ნეტა არ მეძახდნენ ასეთ სახლებში!

ქალმა მოღლილი თვალები დახარა და ჭიქების წმენდას როგორც იქნა თავი დაანება. მონტიორმა თანაგრძნობით შეხედა და მხიარულად უთხრა:

— ბედნიერება კი არსებობს! მერე როგორი! დაუჯერეთ რაზმაძეს!

ბიჭმა მონტიორს იმედიანი თვალით შეხედა, მერე დედისკენ შემობრუნდა, თითქოს ნებართვას თხოვდა, კაცს ყურმილი გამოართვა და ნომერი აკრიფა. დედა მივარდა, ყურმილის წართმევა უნდოდა, მონტიორმა ქალს ხელით ანიშნა შეჩერებულიყო.

— ალო! გამარჯობა, მამიკო! — ჩქარ-ჩქარა დაიწყო ბიჭმა, ალბათ ეშინოდა, დედა გადაიფიქრებს და ყურმილს წამართმევსო. — შენი შვილი გივიკო გელაპარაკება. მამიკო, მიყიდე, თუ შეიძლება, ოქროსფერუნაგირიანი შავი ცხენი. ყველა ბიჭსა ჰყავს, მე კი არა.

ქალს არ გაუგონია, რა უპასუხა მამამ მავთულის მეორე ბოლოდან. მხოლოდ ის დაინახა, როგორ გაუნათა ბავშვს ბედნიერებამ სახე. ქალს თვალებში სითბო ჩაეღვარა და ტილოს ბოლოთი შეუმჩნევლად მოიწმინდა მსხვილი ცრემლი.

**ახლო წარსულიდან**

# ალექსანდრა იოსავა

1927 წელს 17 წლის შურა იოსავა, როგორც კომკავშირის სენაკის (ახლანდელი ცხაკაია) სამაზრო კომიტეტის ინსტრუქტორი, პირველად ეწვია ჩვენს დედაქალაქს. იგი საქართველოს კომკავშირის ყრილობის დელეგატი იყო.

ყრილობაზე შურას მიერ წარმოთქმულმა სიტყვამ ყრილობის მონაწილეთა მოწონება დაიმსახურა. ყრილობის დამთავრების შემდეგ შურა იოსავა, როგორც გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის“ შტატგარეშე კორესპონდენტი, აღნიშნული გაზეთის კოლექტივმა რედაქციაში მიიწვია. აქ პირველად ესაუბრნენ შურას პირადად, სურათი გადაუღეს და გაზეთის ერთერთ უახლოეს ნომერში დაბეჭდეს მის წერილთან ერთად.

ერთი წლის შემდეგ პარტიის სენაკის სამაზრო კომიტეტმა შურა იოსავა სასწავლებლად გაგზავნა ამიერკავკასიის კომუნისტურ უნივერსიტეტში. ზუგდიდსა და აბაშაში საწარმოო პრაქტიკის დროს შურა იოსავა დიდ სააგიტაციო მუშაობას ეწეოდა ადგილობრივ მოსახლეობაში. ეს ის დრო იყო, როცა ჩამორჩენილ სოფლებში ჯერ კიდევ სამარცხვინოდ ითვლებოდა, რომ ქალი „ხალხში გასულიყო“, თავისი სიტყვა ეთქვა.

შურა იოსავა ხშირად გამოდიოდა მოხსენებებით კრებებზე, ილაშქრებდა იმ მავნე ტრადიციების წინააღმდეგ, რომლებსაც ჯერ კიდევ მაგრად ჰქონდა ხალხში ფესვები გადგმული. დიდ ინტერესს იწვევდა შურა იოსავას საუბრები ანტირელიგიურ თემაზე, ლოთობის, ქალთა მოტაცებისა და სხვა საკითხებზე. მნიშვნელოვანი იყო მის მიერ ჩატარებული კრებები ახლადშექმნილ საბავშვო ბაღებში, რათა ბავშვებისათვის ისეთი პირობები შეექმნათ, რომ დედებს თავისუფლად შეძლებოდათ საკოლმეურნეო შრომაში ჩაბმა.

ზინა ჯახაიასთან, გიორგი მიხანაშვილთან, გიორგი ურუშაძესთან, ლუბა დამენიასთან და სტუდენტთა ბრიგადის სხვა წევრებთან ერთად შურა იოსავა აქტიურად მონაწილეობდა საკოლმეურნეო კამპანიების ჩატარებაში: თესვაში, მოსავლის აღებაში. პირადი მაგალითის ძალა ძლიერი იყო: ქალები სცილდებოდნენ „კერიას“, შრომის ცეცხლს ანთებდნენ მინდვრებში, ზვრებში, პლანტაციებში...

1931 წელს 21 წლის ქალიშვილი კომუნისტური პარტიის რიგებში მიიღეს და სულ მალე თბილისის ახლანდელი 1 მაისის რაიკომის ქალთა სექტორის გამგედ დანიშნეს. ახლა იგი გამოდიოდა მოხსენებებით დიდ მუშათა კოლექტივებში (მაუდ-კამვოლის, სამკერვალო და თამბაქოს ფაბრიკებში), იყო პარტიის რაიკომის პლენუმის წევრი, თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატი.

ხელმძღვანელ პოსტებზე მუშაობამ სწავლის სურვილი კიდევ უფრო გაუძლიერა ახალგაზრდა პარტიულ მუშაკს. 1936-37 წლებში შურა იოსავა სწავლობდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ასპირანტურაში. 1937 წელს დანიშნეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ინსტრუქტორად.

ამას მოჰყვა სოხუმის პარტრაიკომის მდივნად მუშაობა. ეს ის წლები იყო, როცა დიდი სამამულო ომი მძვინვარებდა. მტერი აწვებოდა კავკასიონს. საკოლმეურნეო შრომაში წარმატება ბრძოლის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფრონტზე მოპოვებული გმირობის დარად ფასობდა. სურსათით ფრონტისა და ზურგის უზრუნველყოფა ჩვენი ხალხის, ჩვენი კოლმეურნეების უმთავრესი ამოცანა იყო.

სწორედ აქეთკენ აილო გეზი თავის მუშაობაში შურა იოსავამ. დილის ექვს საათზე დგებოდა, რომ ყველა კოლმეურნეობაში მოესწრო მისვლა. სოფლები მთაგორიანი იყო, ტრანსპორტით წასვლა არ ხერხდებოდა. რამდენჯერ გაუვლია ფეხით 20-25 კილომეტრი, რომ კრება ჩაეტარებინა დრანდასა და გულრიფშში, წებელდასა და ეშერაში. მრავალეროვანი იყო მოსახლეობა — ქართველები, აფხაზები, რუსები, სომხები. საჭირო იყო საუბრების ჩატარება სხვადასხვა ენაზე. შურა იოსავამ ეს ძნელი ამოცანაც წარმატებით გადაჭრა; იგი პირადად მონაწილეობდა ფრონტზე გასაგზავნი პროდუქტების შეგროვებაში. საკუთარი ხელით აწყობდა ამანათებში თბილ ტანისამოსს, წინდებს, ჩურჩხელებს, აფხაზურ აჯიკას... კოლმეურნეებთან ერთად ტვირთავდა ვაგონებს ამანათებით.

ერთ საღამოს, როდესაც მთელი დღის მუშაობით დაღლილი შურა სახლში დაბრუნდა, მაგიდაზე წერილი დახვდა. დახედა, 10 წლის გოგონას ბავშვური ხელი იცნო. „დედა, თუ საჭიროა, ჩვენც შენთან ჩამოვალთ, მოგვწერე“, — სწერდა გოგონა დედას. აწრიალდა დედის გული, თითქოს მხოლოდ ახლა გაახსენდაო სოფელში, ბებიასთან დატოვებული ბავშვები. იცის, არაფერს მოაკლებს ბებია, იქნებ მასზე უკეთესადაც მოუაროს, მაგრამ მაინც სხვა არის დედის კალთა. ბავშვებს დედის სითბო უნდათ, დედის გული. და მეორე დღესვე ჩამოიყვანა თავისი პატარები სოხუმში. საზრუნავი მოემატა, მაინც არ იმჩნევდა დაღლას, ამოუწურავი იყო მისი ენერგია.

მუყაითი ქალი შესანიშნავად ათავსებდა ერთმანეთთან მუშაობასა და სწავლას. 1945 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი, ხოლო 1950 წელს—ამავე ინსტიტუტის ასპირანტურა. ოთხი წლის შემდეგ წარმატებით დაიცვა დისერტაცია მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. ასპირანტურის დამთავრებიდან დღემდე ასისტენტად არის ჰოსპიტალური თერაპიის კათედრაზე და მთელ თავის ცოდნას და ენერგიას ახმარს საყვარელ საქმეს — სტუდენტებთან მუშაობას.

შურა იოსავა, 17 სამეცნიერო შრომის ავტორი, ამჟამად სადოქტორო დისერტაციაზე მუშაობს.

ენერგიული პარტიული და საზოგადოებრივი მუშაკი, კარგი ექიმი და დედა, მეგობარი და ამხანაგი... ასეთია შურა იოსავა.

ზაირა აბესაძე

# მარიამ ბუთხუზი

სტოლიპინის რეაქციის მძიმე წლები იყო. ჩხრეკა, დაპატიმრება, გადასახლება ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. მაშინ მარიამი პატარა იყო, მაგრამ კარგად ახსოვს ის დღეები, როდესაც მათი ექვმიტანილი ბინა პოლიციელებით ივსებოდა. რევოლუციური პროკლამაციების და იარაღის ძებნის შემდეგ დარბეული ოჯახი ძლივს უბრუნდებოდა „მშვიდ“ ცხოვრებას ქალაქის სხვა უბანში. მის უფროს ძმასთან, ნიკო ნასყიდაშვილთან ხშირად იკრიბებოდნენ ამხანაგები და გატაცებით კითხულობდნენ აკრძალულ ლიტერატურას, ბჭობდნენ, კამათობდნენ. „თავისუფლება მშრომელებს, მიწა გლეხებს, ქარხნები მუშებს!“ — ხშირად ესმოდა მარიამს. ძმის წამებამ საპოლიციო უბანში და მისმა სიკვდილმა საბოლოოდ განსაზღვრა მარიამის მომავალი. 1914 წელს, როდესაც მარიამი თხუთმეტი წლის იყო, სიღნაღში გადავიდა და გლეხი ქალებისათვის ჭრა-კერვის სკოლა გახსნა. ჭრა-კერვის გარდა ქალებს წერა-კითხვასაც ასწავლიდა.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამ მას სიღნაღში მოუსწრო. მაშინ ის უკვე გამოცდილი საზოგადოებრივი მუშაკი იყო. დაუზარელ ქალიშვილზე ხშირად იტყოდნენ ხოლმე სიღნაღში—მარიამ მასწავლებელი საწყალი კაცის ქომაგია და ჩვენი ქალები სიბნელიდან სინათლეზე გამოჰყავსო.

1923 წელს მარიამი ქალთა სკოლის გამგედ დაინიშნა.

ქალთა შორის მუშაობა, მათი გამოყვანა ახალ დიდ გზაზე მის სასიცოცხლო საქმედ იქცა, მიუხედავად იმისა, რომ სიძნელეები დიდი იყო. მას კარგად ახსოვს ქედის კომუნის პირველი წლები, როდესაც აქ თემსაბჭოს დადგენილებით პირველი სამშობიარო სახლი დააარსეს, მარიამ ბუთხუზს არაერთხელ მოსვლია შეტაკება გლეხებთან, როდესაც მათი ცოლები სამშობიაროდ გომურიდან საავადმყოფოში გადაჰყავდა. ყველაზე ბედნიერი დღე მის ცხოვრებაში კი 1926 წლის მარტში გათენდა, როდესაც იგი კომუნისტური პარტიის წევრობის კანდიდატად მიიღეს და კახეთის საოლქო კომიტეტმა თელავის პარტიულ სკოლაში მიავლინა. ამავე ხანებში მარიამი მონაწილეობას იღებდა ქოხ-სამკითხველოების, სკოლების, საბავშვო ბაგა-ბაღების დაარსებაში და ბოდბისხევის კოლმეურნეობის ჩამოყალიბებაში.

1931 წელს მარიამ ბუთხუზი სიღნაღის რაიკომის ქალთა განყოფილების გამგედ დანიშნეს და მისი სამოქმედო ფრონტი უფრო ფართოდ გაიშალა. ყოველდღიური საქმიანობის გარდა, ქალთა სადელეგატო პუნქტს კვირაში ორი დღე ჰქონდა გამოყოფილი. ამ დღეებში ტარდებოდა ჟურნალ-გაზეთების ხმამაღალი კითხვა, ლექცია-მოხსენებები ზოგადსაგანმანათლებლო საკითხებზე, ეწყობოდა მსმენელთა კონფერენციები, იმართებოდა გაცხოველებული კამათი სადელეგატო პუნქტის საზოგადოებრივი მუშაობის შესახებ.

1931 წელს შირაქში ბამბის დიდი მოსავალი მოვიდა. ატყდა განგაში — მუშახელი არ გვყოფნისო. მოსავლის აღება ქალთა სადელეგატო პუნქტმა ითავა.

მარიამმა ფეხით შემოიარა ნუკრიანი, მალარო, ჩოტორი, ბოდბისხევი... წითელი ალმებით მორთული მანქანების კოლონა სულ უფრო იზრდებოდა.

რამდენიმე ასეული ქალი შეესია ბამბის პლანტაციებს. მუშახელი მაინც არ ჰყოფნიდათ, ბამბა მიწაზე იბნეოდა. სხვადასხვა სოფლებიდან გლეხები შეაშველეს. სიძნელეები სხვაც ბევრი იყო — წყალი არ იყო, ბინები არ ჰყოფნიდათ, მაგრამ ქალთა სადელეგატო პუნქტის ორგანიზატორულმა მუშაობამ საბოლოოდ გადაწყვიტა საქმის ბედი: დიდი და ძვირფასი მოსავალი აღებულ იქნა.

1933 წელს მარიამ ბუთხუზი გადაყვანილ იქნა გურჯაანის რაიკომის ქალთა განყოფილების გამგედ, 1934 წელს იგი უკვე თბილისშია და 1939 წლიდან 1947 წლამდე მუშაობდა თბილისის კ. მარქსის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკაში.

1947 წლიდან მარიამი პენსიონერია. თუმც მუხლმა უსუსტა, საზოგადოებრივ შრომას მაინც არ თმობს — ეზოს კომიტეტის აგიტატორია და ამ საქმიანობაში კმაყოფილებას პოულობს.

ა. ნარგიზიშვილი

მარიკა ჩხარტიშვილი

# მოხუცი და მზე

მოთხრობა

მხატვარი ნანა მესხიძე

ჩამოხუთული ეზო იყო, აივნებითა და შუშაბანდებით დახუნძლული... ეზოში უზარმაზარი თუთა იზრდებოდა, რტოგანიერი და ფოთოლხშირი. ცა მხოლოდ ფოთლებიდან დაჰყურებდა ეზოს და უსწორმასწორო ჩრდილები იყო მოფანტული ასფალტზე. ზაფხულობით მორწყულ ასფალტს ოხშივარი ასდიოდა და თხელ ნისლად წვებოდა მიწაზე. ეზოს შემოსასვლელი გვირაბივით გაეშენებინათ, თანაც ვიღაცის შუშაბანდს ნახევრამდე დაეფარა და მხოლოდ ქუჩის პატარა ნაწილი მოჩანდა ეზოდან.

კარებთან დავარდნილი, მოხუცი ქალი გამოეყვანათ, კუზიანი. ფეხებმონგრეული და ხელებგამხმარი. მოხუცი სავარძლიდან გადმოხრილიყო და თვალები ქუჩისკენ მიეპყრო. სადღაც კაბის კალთას მოჰკრავდა თვალს, სადღაც მანქანა გაიელვებდა, ვიღაცის აჩქარებული ნაბიჯების ხმა მიაღწევდა, ვიღაც სიტყვის ნაწყვეტს შეატოვებდა ჭიშკართან. მოხუცი იჯდა გაუნძრევლად და თვალი გაშტერებოდა. ჰაერივით ისუნთქავდა ქუჩის სურნელს და აღარაფერზე აღარ ფიქრობდა...

ეზოში ბავშვები შემოცვივდნენ, ერთ მათგანს ხელში უცხო საგანი ეჭირა და ნიშნისმოგებით უჩვენებდა დანარჩენებს, მერე ოთახში შევარდა და ლოყააწითლებულ მეგობრებს კარი ზედ ცხვირწინ მოუკეტა.

მოხუცი იჯდა და არაფრისმთქმელი თვალით შესცქეროდა პატარებს: ვინ იყვნენ, რა უნდოდათ, რა ახარებდათ? — არაფერი ესმოდა და არც აწუხებდა.

შუადღის მზემ ცის ყველაზე მაღალი ადგილი გამონახა და იქიდან გადმოხედა დედამიწას. თუთის ხის ტოტებში გაიხლართა და ძირს ჩამოეშვა.

მოხუცმა იგრძნო, რომ ზურგზე რაღაცამ თბილად ჩამოურბინა და მუხლებთან მოიკეცა, მერე გაიშალა, თითებიდან მკლავებში ააღწია, სისხლში შეერია და მაჯა აუჩქარა. ძვლები შეუთბა, რაღაც საოცარი ძალა ჩაეღვარა მხრებში და მკერდამდე გამოატანა; ზურგზე დასცხა, თავის განძრევა გაუძნელდა, ისე მოეჩვენა, რომ გულთან რომელიღაც გაყინული ძარღვი შეთრთოლდა და გაწყდა...

მოხუცს თვალები მიელულა, გამხმარ ხელ-ფეხში სითბო შეეპარა, შეუმსუბუქდა, გამოუცნობი რამ შემოეხვია ყოველი მხრიდან... ვიღაცის ცხელი მკლავები იგრძნო... საიდან ამოცურდება ხოლმე ეს მოგონება? დაუკითხავად მოვა და დაისადგურებს, მოვა და დაეპატრონება. რამდენჯერ უნდა განუახლდეს იმ ერთადერთი ალერსის სითბო — ერთადერთისა, ყრუ ტკივილად რომ მოჰყვება მთელი სიცოცხლის მანძილზე.

ბავშვობიდანვე უშნო იყო, მხრებგანიერი და ვიწრო, შევარდნილმენჯებიანი. შინაურებს ებრალებოდათ, უცხოები კი თვალს არიდებდნენ. ფიქრისათვის დიდი დრო რჩებოდა, გამჭრიახი გახდა და მახვილგონიერი. მერე სწავლას გადაჰყვა, ნიჭიერის სახელი დაუვარდა და აღმართ-აღმართ იწყო სიარული. სიყვარულზე აღარ უფიქრია, სიყვარული სწორედ მაშინ ეწვია, როცა ყველაზე ნაკლებად მოელოდა მას. ის ლამაზი მამაკაცი შეუყვარდა, მისი ხელქვეითი რომ შეიქმნა მერე. მოულოდნელობისაგან თავზარი დაეცა და დაიბნა. მინიჭებულმა უფლებამ დააბნია და გონების ხმა გულის ხმას ვეღარ შეუწყო. მერე ამასაც შეეჩვია, მხოლოდ იმ ოთახში შესვლისას აღელდებოდა ხოლმე, სადაც სათათბიროდ შეკრებილნი მას მიელოდნენ. სადღაც სიამის გრძნობაც შეეპარა მის შესახვედრად ფეხზე წამომდგარი მამაკაცების დანახვაზე. ფარული ღიმილით შესცქეროდა მომლოდინეთ. დასჩემდა ისიც, რომ თვალი გაურბოდა მარცხენა კედლისაკენ, სადაც ლამაზი მამაკაცი იჯდა, იჯდა უდარდელი და კმაყოფილი სახით, ალერსსა და თაყვანისცემას შეჩვეული ქალი შეპარვით შეავლებდა ხოლმე თვალს და მერე ფიქრებს ვეღარ ეწეოდა...

რა იქნება, რომ ეს კმაყოფილი სახე შეუცვალოს? რა იქნება? მას ხომ ყველაფერი შეუძლია ახლა! ყველაფერი შეუძლია... ყველაფერი კი? ერთხელ, როცა შეკრებილნი დაიშალნენ, მამაკაცს მოუხმო, მკაცრად ახედა და მოკლედ მოუჭრა: „მე არა ვარ თქვენით კმაყოფილი, მეორედ რომ ასე განმეორდეს, აღარ გაპატიებთ.“ მამაკაცს თვალები გაუფართოვდა და წარბები დაეჭიმა. არ უკითხავს — „რა არ უნდა განმეორდესო,“ — ისე გავიდა ოთახიდან.

„ალბათ, ასეთი თვალები აქვს, როცა ვინმეს დამორჩილება სურს,“ — გაიფიქრა ქალმა და გაეღიმა.

მეორე დღეს კიბეზე შეხვდნენ ერთმანეთს. ქალმა თვალი მოარიდა, მამაკაცმა მაინც შეაგება სალამი და კარამდე მიჰყვა. მერე ქალს მარცხენა კედლისაკენ აღარ გაუხედავს და საგანგებოდ ცივად პასუხობდა მამაკაცის მომეტებულად თავაზიან შეკითხვებს. აღარ გაჰკვირვებია, როცა ერთ დღეს იგი ოთახის მარჯვენა მხარეს დაინახა. ქალი გრძნობდა გამარჯვების მოახლოებას.



ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ ეს რატომღაც აღარ აზარებდა. თითქოს საოცრად დიდს კარგავდა მამაკაცის მორჩილების მოპყრობასთან ერთად. კარგავდა ადამიანს, მისი სილამაზის რწმენას...

იმ საღამოს საერთო მეგობართან შეხვდნენ ერთმანეთს.

სტუმრები თანდათანობით იკრიბებოდნენ. მამაკაცს რამდენიმე თაყვანისმცემელი შემოეხვია. იგი მღეროდა, იცინოდა, თავს ისე გრძნობდა, თითქოს სანავარდოდ გაუშვეს აქამდე ხელფეხშეკრულიო. ქალი სავარძელში იჯდა და თვალყურს ადევნებდა — „რა ლამაზია და რა თავხედი", ფიქრობდა იგი და რატომღაც დაჟინებით იგონებდა იმ უკანასკნელ დღეებს, როცა მამაკაცი ერთგულ ღიმილს აგებებდა... იქნებ?

ოთახში ვიღაცამ ჭაღი გამორთო და იქაურობას შემპარავი შუქი მოეფინა. წყვილები საცეკვაოდ გავიდნენ. მამაკაცს რამდენიმე მომლოდინე თვალი მიაჩერდა. მან შეუმჩნევლად მოათვალიერა ოთახი და ქალისკენ გამოემართა. ქალს მთელი სხეული დაეძაბა, მუხლები დაეჭიმა. ო, როგორ გაგრძელდა მანძილი ოთახის ერთი კუთხიდან მეორემდე, მუხლისთავები აუცახცახდა და საფეთქლებში სისხლი მოაწვა.

მამაკაცმა თავაზიანად გაუწოდა ხელი და ქალის გაყინული თითები განიერ მტევნებში მოიქცია. ნელა ირხეოდნენ წყვილები. „ნეტავ, როგორ იმორჩილებენ ფეხებს?" ფიქრობდა ქალი და გაშეშებულ წვივებს ითრევდა. მამაკაცი რაღაცას ხმადაბლა ელაპარაკებოდა. ქალს მხარი აეწვა, ბოლოს მთელი ზურგი. მამაკაცის ხუთივე თითს გრძნობდა, ატკივდა კისერი. თავისი შევარდნილი მენჯებიც მაშინ მოაგონდა, მოეჩვენა თითქოს გაშიშვლებული დგას და ვიღაც უცხო საქვეყნოდ აჩენს მის უშნოდა განიერ მხრებს, მოკლე კისერს, გალეულ მკერდს. ცრემლები მოადგა, რაღაც ამოუგორდა ყელთან და გაეხირა. მამაკაცმა უფრო ახლოს მიიკრა ქალი.

ვიღაცამ მოულოდნელად აანთო შუქი. ქალმა სწრაფად ახედა მამაკაცს და კივილი ტუჩებზე მიეყინა. მამაკაცმა სახის გამომეტყველების შეცვლა ვერ მოასწრო; ო, როგორი ზიზღი ამოიკითხა ქალმა მის ლამაზ თვალებში, ზიზღი ქალისადმი, რომელიც რამდენიმე წუთს მკერდზე ჰყავდა მიკრული.

ქალი მალე მოეგო გონს... ჯერ სიცარიელე იგრძნო, მერე კი უცნაური შინაგანი ძალის კარნახი — თითქოს გაიზარდა, ამაღლდა, ვიღაც მიეზიდებოდა და ეჩურჩულებოდა: „შენ დაამარცხე... შენ დაამარცხე ლამაზი და ყოვლისმძლე, თავნება და განებივრებული. რა პატარა სული ჰქონია მას, პატარა და საბრალო, ეზიზღები და მაინც დაიჩოქა შენს წინაშე. ეშინია შენი, რადგან ძალას გრძნობს შენსას და, მოიდრიკა, საკუთარი თავის სიყვარულმა მოდრიკა... შენ კი გეგონა"...



ქალმა სიცივე იგრძნო...

მზე თუთის ფოთლებისაკენ მიიწევდა და მოხუცს ჩრდილი დადგომოდა. ბებერი ძვლები შეანძრია და ბურანიდან გამოერკვა. პატარების ღრიანცელი ჩაესმა... უშვილოდ დაბერდა, რადგან ის მოულოდნელად დანახული თვალები არასოდეს დავიწყებია. სხვისი ობლები გამოზარდა და ახლა ისინი უვლიან.

მოხუცმა ჯოხი დაარტყა ასფალტს, ოთახიდან გოგონამ გამოიხედა.

— იმ გიჟ ბიჭს მიმიხედე, მაია, — შესთხოვა, — უთხარი, კარი გააღოს და ნურაფერს დაუმალავს სხვებს. თუ გასახარია, ყველამ უნდა გაიხაროს... გესმის? ყველამ უნდა გაიხაროს!

მოხუცმა გოგონას გააყოლა თვალი და მერე ისევ ქუჩას გახედა. ისევ გაიელვა კაბის კალთამ, ჩაიქროლა მანქანამ, ვიღაცამ სიტყვის ნაწყვეტი შეატოვა ჭიშკართან... მოხუცმა ჰაერივით შეისუნთქა ქუჩის სურნელი და აზრი გაუწყდა...

მზე თუთას გაშორებოდა და სახურავზე შერჩენილიყო.

# დედის ჯილდო

წელიწადზე მეტია წერილები აჯსებენ დედის ცხოვრებას. კვირა ისე არ გავა, პატარა ბარათი არ მოვიდეს შორეული მხრიდან. წერილი მოვა და თითქოს მისი გამომეზავნი, უმცროსი ვაჟი ჯემალი შემოდის სახლში ჯარისკაცის ტანსაცმლით, პირზე ღიმილით.

ჯემალიმ ბავშვობიდანვე ასე იცოდა: დედის კალთასთან ჩამოჯდებოდა, მუხლზე ხელს ჩამოადებდა და ყვებოდა ნახულს და გაგონილს. ახლა მის მაგიერ ბარათები ლაპარაკობენ იმაზე, რა რთულია და საპატიო ჯარისკაცის ცხოვრება.

დედამ იცის, რომ თვეში რამდენიმეჯერ აჯამებენ მებრძოლების სწავლისა და მუშაობის შედეგებს, მერე მწყობრის წინ ასახელებენ სამხედრო მომზადების წარჩინებულებს. მათ შორის ხშირად ახსენებენ ჯემალ ილურიძის გვარს. საპასუხოდ გაისმის ჭაბუკის მტკიცე ხმა: „ვემსახურები საბჭოთა კავშირს!“

ჯემალიმ სამხედრო სამსახურში თავიდანვე გამოიჩინა თავმდაბლობა და მტკიცე დისციპლინა, მოწინავეთა რიგებში ჩადგა, ასახელა დედა, მშობლიური სოფელი მარტყოფი, სადაც იზრდებოდა, სწავლობდა; საბჭოთა მეურნეობა, სადაც კომკავშირის ორგანიზაციის მდივნად მუშაობდა; გარდაბნის რაიონის კომკავშირული ორგანიზაცია, რომლის რაიკომმა რეკომენდაცია გაუგზავნა არმიაში წასულ ჭაბუკს კომუნისტური პარტიის რიგებში წევრად შესვლისათვის.

მეთაურებმა შეიყვარეს ჭაბუკი, რომლის ქცევა და ხასიათი ჩამოყალიბდა ოჯახში, დედის ზეგავლენით. აი, ამიტომაც ქალთა დღე — რვა მარტი—მიულოცეს ნაწილის მეთაურებმა მარო ილურიძეს — სამხედრო სწავლების წარჩინებული ჯარისკაცის ჯემალ ილურიძის დედას.

ეს პირველი მილოცვა როდი იყო მაროსათვის. ასე იყო ამ რამდენიმე წლის წინ, როცა სავალდებულო სამხედრო სამსახურში იმყოფებოდა მისი უფროსი ვაჟი ანზორი.

— ყველა შენი ამხანაგის დედას მიულოცეს რვა მარტი? — ჰკითხა მაშინ შინდაბრუნებულ შვილს დედამ.

— ნაწილიდან სამი ამოგვარჩიეს

მაროსთვის გასაგები გახდა იმ მოკლე, მრავლისმთქმელი ბარათის მნიშვნელობა.

რამდენი წვალება გადაიტანა, სანამ შვილებს დაზრდიდა! რა დაავიწყებს ამ მძიმე წლებს! გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა მიერ ომის დაწყების მეორე დღესვე წავიდა ფრონტზე მაროს მეუღლე. დარჩა ახალგაზრდა ქალი სამი პაწია ბავშვის ამარა. მოხუცმა დედამთილმა 4 წლის გოგონას და მომდევნო ბიჭის მოვლა ითავა, მარო კი გავიდა კოლმეურნეობაში სამუშაოდ. ქალს თან დაჰყავდა უმცროსი ბიჭი ჯემალი, რომელიც 22 ივნისს მხოლოდ 19 დღისა იყო.

ომის დამთავრებამდე ცოტა ხნით ადრე მტრის ტყვიით გულგანგმირული დაეცა მაროს მეუღლე. შავები ჩაიცვა ახალგაზრდა ქვრივმა. გადიოდა წლები. შვილები იზრდებოდნენ. დედას საზრუნავი არასდროს აკლდა. ქალიშვილი გათხოვდა, ოჯახში დარჩნენ სამნი: დედა და ბიჭები. ჭაბუკები მხარში ამოუდგნენ დედას.

დედის სიტყვა კანონი იყო მათთვის. მაროს დიდი განათლება არ მიუღია, მაგრამ ბუნებით კეთილი და უაღრესად შრომისმოყვარე დედის მიბაძვით მოქმედებდნენ შვილები.

კოლმეურნეობაში მუშაობის დაწყებისთანავე მარო მერგოლურად დააწინაურეს, მერე 15 წელიწადი უძღვებოდა მებოსტნეობის ბრიგადას. სოფელში საბჭოთა მეურნეობა რომ ჩამოყალიბდა, მეფრინველეობის საქმე ჩააბარეს. იყო რაიონული პარტიული კონფერენციის დელეგატი, რაიონული კომიტეტის წევრი, კოლმეურნეობის გამგეობის წევრი, რაიონული სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილე. ამ მშრომელი ქალისათვის, რომელიც სოფელში პატივცემულია და დაფასებული, ყველაზე დიდი ჯილდო მაინც ის არის, როცა სამხედრო სამსახურში წასული შვილის შესახებ მეთაური იწერება მადლობას.

**მარიამ დოლბაშიშვილი,**
**მედეა რამიშვილი.**



# ცხრა მონავარდე ვარსკვლავი

დიდხანს ვტკბებოდი ბრწყინვალე ბალერინას მომხიბვლელი ფოტოსურათებით. დაბოლოს, გადავწყვიტე გამოქვეყნება და რამდენიმე გამოვარჩიე.

საიდან დავიწყოთ საუბარი ქართველ ბალერინაზე? იქნებ, იქიდან, რომ ცეკვის დიდოსტატებმა კარგახანია მსოფლიოში სახელი გაუთქვეს ქართულ ქორეოგრაფიას? რომ ბევრი მათგანი ჩვენებურია, ზოგი — ჩვენებური, თუმცა საზღვარგარეთ დაბადებული?

და არის მათ შორის ერთი ისეთიც, რომელიც მატარებელში გაჩნდა ციმბირის გზაზე და არც მშობლიური მიწისაა, არც უცხოეთის.

ასეთია თამარ თუმანიშვილი, მსოფლიოში „შავ ბრილიანტად“ ცნობილი მონავარდე ცეკვის ვარსკვლავი.

მანჯურიასა და ჩინეთში ლტოლვილმა ქართველმა ქალმა — ევგენია თუმანიშვილმა მძიმე პირობების მიუხედავად, კარგი აღზრდა მისცა შვილს. თამრიკო პაწია იყო, როცა შანხაიში იხილა ლეგენდარული ანა პავლოვას „მომაკვდავი გედი“ და მას შემდეგ ბალერინობა ოცნებად ექცა. 1927 წელს მოკლევკაბიანი თამრიკო უკვე პარიზში იყო, სადაც პეტერბურგის ბალეტის ვარსკვლავ და სახელმოხვეჭილ პედაგოგ პრეობრაჟენსკაიასთან ეუფლებოდა საბალეტო ხელოვნებას.

1929 წლის მარტში „გრანდ ოპერაში“ დადგეს ბალეტი — „ჟანის მარაო“. სპექტაკლში მონაწილე ათი წლის თამრიკომ საცეკვაო ვარიაციებით გაოცება გამოიწვია და პირველი გამარჯვება მოიპოვა. შემდეგ პარიზში მოღვაწე გიორგი მელიტონის ძე ბალანჩივაძემ (ბალანჩინმა) შენიშნა მისი ტალანტი და 13 წლის გოგონა „კონკურენციასა“ და „კოტილონში“ გამოიყვანა. ეშხიანი, ნორჩი მოცეკვავე მერე ხანდაზმულმა ანა პავლოვამ შეიყვარა და მფარველობაც გაუწია. დაიწყო პატარა ქართველი ბალერინას დიდი საბალეტო კარიერა. ფრანგი კრიტიკოსი დინა მაგი წერდა: „თუმანიშვილი ლამაზი ოცნების დედოფალია“... ფრანგული ხელოვნებისა და ქორეოგრაფიის ცნობილი კრიტიკოსი ანდრე დავიდი იუწყებოდა: „ანა პავლოვას შემდეგ თამარ თუმანიშვილი უდაოდ ერთად-ერთია, რომელიც ბრწყინავს მთელს მსოფლიოში“.

მალე თამარი პრიმა ბალერინად გადაიქცა გ. მ. ბალანჩინის დადგმაში — „1933 წლის ბალეტები“ და სახელიც მოიხვეჭა თავის თანამემამულესთან ერთად. ბალანჩინი მალე ამერიკაში მიიწვიეს, თუმანიშვილი კი მონტე-კარლოს კომპანიის დასს შეუერთდა და ამ ქალაქში ცეკვავდა 1938 წლამდე. შემდეგ მას ხშირად იწვევდნენ იქ საგასტროლოდ. მსოფლიოს გარშემო მოგზაურობებში თ. თუმანიშვილს ყველგან თან ახლდა თავისი სათნო და თავდადებული დედა.

თ. თუმანიშვილის მოღვაწეობა შეერთებულ

# დიდი ოჯახი

გათენდება და მარო მირცხულავას ოჯახის ყველა წევრი ფეხზეა. თოთხმეტი შვილი —7 ქალი და შვიდი ვაჟი — გრძელ ტაბაკთან ჩამომწკრივდება. თვითონ მარო ფეხზე წაიხემსებს, მერე დაბრაწულ მჭადს და ახლად გადაქნილ სულგუნს ლელვის ფოთლებში გაახვევს, კალათაში ჩააწყობს, ღვინოს და დოქით ცივ წყალს მოამზადებს და დანაყრებულ შვილებს შეეკითხება:

— დღეს რომელი წავა ბაბასთან ყანაში?

— მე, მე, მე, — ერთხმად აჟივჟივდებიან ყველაზე პატარები.

— კარგი, დღეს თქვენი ჯერი იყოს, — ღიმილით ეტყვის დედა. ავთანდილი კალათს დაავლებს ხელს, ეთერი და მარლენი დოქებს და ყანისკენ გარბიან. თამაზი და იური საქონელს გაირეკავენ, ნაზი, ვენერა, ალიოშა, ლუიზა და იროდიონი სკოლაში წასვლის წინ გაკვეთილებს იმეორებენ. აპოლონი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში მიიჩქარის. მარო და ზაირა ვიწრო ბილიკით ჩაის ნაკვეთისაკენ გაუყვებიან გზას.

პლანტაციაში ჯერ ისევ სიჩუმეა, როცა დედა-შვილი მწკრივში დგება. მზე ნელ-ნელა ამოიწვერება, პლანტაციას ქალები მოედებიან. თავდახრილი მარო ვერავის ამჩნევს, დატენილ კალათს მალიმალ მიარბენინებს ფარდულისაკენ. სახე ოფლით დაცვარია, დროდა-დრო ზაირასაკენ მიიხედავს, ეცოდება მზისგულზე მომუშავე ქალიშვილი.

— ოუ, ზაირა, დაისვენე ნანა, — ალერსიანად გასძახებს.

დედის ხმაზე ზაირა თავს წამოწევს და თვალებით ეუბნება: „მე ბავშვი აღარა ვარ, ჯანლონე შენზე მეტი მაქვს, დედა. უმჯობესია შენ დაისვენო!“

ზაირა ცხრამეტი წლის ქალიშვილია. ცხრამეტი წლისას დედამისს ორი შვილი ჰყავდა. თექვსმეტი წლის იყო სოფელ ხორშიდან, ცხაკაიას რაიონში, სოფელ ფოცხოში პატარა, ისლით გადახურულ ქოხში რომ მოიყვანა იგი გიორგი მირცხულავამ. ომი რომ დაიწყო, ორი მაზლი და ქმარი ერთ დღეს გააცილა ფრონტზე მარომ. 19 წლის ქალი დარჩა მოხუცი დედამთილის ანაბარა. ბავშვები დედამთილს ჩააბარა მარომ და იმ დღიდან კოლმეურნეობის ფართობს არ მოსცილებია. მშრომელი ქალის ხელი მალე დაეტყო ოჯახს. 1944 წელს ბელორუსიის ფრონტიდან მძიმედ დაჭრილი გიორგიც დაბრუნდა. მერე კი თორმეტი ახალი წევრი რიგრიგობით შეემატა ოჯახს. ჯერჯერობით ყველა მაროს ფრთებქვეშ არის შეყუჟული. თამაზი, იური და ზაირა საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ კოლმეურნეობაში მუშაობენ, მომდევნო ხუთი შვილი საშუალო სკოლაში სწავლობს და კარგი ნიშნებით ახარებენ დედას. პატარებიც შეძლებისდაგვარად შველიან საქმეში. ყველა თანაბრად ინაწილებს შრომას, თვალებში შესციცინებენ მშობლებს. უცნაური სიყვარულით უყვართ და-ძმათ ერთმანეთი. უერთმანეთოდ ლუკმას არ ჩაიდებენ პირში. თუ რომელიმეს რაიმე დააშავა, ცდილობენ მშობლების ყურამდე არ მივიდეს, თვითონ ტუქსავენ დამნაშავეს.

— როცა კოლმეურნეობას უჭირს, როცა ზღვასავით წამოსულ ჩაის მკრეფავები ვერ უთავდებიან, სკოლიდან დაბრუნებული ბავშვები დედასთან გარბიან პლანტაციაში. მათი პატარა კალათები დედის დიდი კალათის გვერდით ჩამწკრივდებიან და აწონის ჯერს ელოდებიან. ბრიგადირი დინჯად წონის ჩაის და გაბრწყინებული სახით ეუბნება მაროს:

— ბარაქალა შენს მარჯვენას, მარტო შენ 100 კილოგრამი მოგიკრეფია.

— ბავშვებმა? — კითხულობს მარო.

— აუ! მაგის შეჯამებას კარგახანს მოვუნდებით, — თავს იქნევს ბრიგადირი ვალოდია ქარჩავა. გულიანი სიცილი მოწყდება უცებ და გადაირბენს პლანტაციას. მაროს სიცილზე ქალები იხედებიან. არც უკვირთ მხიარულება იმ ოჯახის დიასახლისისა, რომელსაც უხვმოსავლიანი შემოდგომა უდგას. შარშან გიორგიმ შვიდი ტონა სიმინდი მოიწია. მარომ ექვსი ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი მოკრიფა, ზაირამ — ხუთი ტონა. მთელმა ოჯახმა ათას სამასი შრომადღე გამოიმუშავა. მარტო პრემიის სახით ორი ტონა სიმინდი მიიღეს და 2500 მანეთი ფული. გმირ დედას მთავრობისაგან დახმარების სახით დღემდე 1500 მანეთი აქვს მიღებული. ყოველთვიურად იგი 45 მანეთს იღებს. ორი შვილი უკვე დაბინავა: ნელიმ და გივიმ თავიანთი ოჯახები შექმნეს. 43 წლის ქალი ოთხი შვილიშვილის ბებიაა. ახლა ჯერი სხვებზეა.



— მე ისეთი ქალიშვილები მყავს, სიძეები აქეთ უნდა მოვიყვანო, რძლები ხომ თავისთავად მოვლენ და შვიდ ოდას მარჯვნივ წამოვჭიმავ, შვიდ ოდას მარცხნივ, — ირწმუნება გიორგი.

მერე, ალბათ, შვილიშვილებიც იქვე დასახლდებიან, გამრავლდებიან, იხეირებენ და იხარებენ...

**ოლია რევია**

ეროვნული ბიბლიოთეკა





მომაკვდავი გედი



„რომეო და ჯულიეტა"



შტატებში ტრიუმფალურია. როგორც ჯონ მარტინი იუწყებოდა, თამარი დიდებით შევიდა „მეტროპოლიტენ ოპერაში", სადაც პირველად ბალეტ „ქოშებში" იცეკვა. ლაზათიანმა და დახვეწილმა თამაშმა სახელი გაუთქვა. თამარს ფიზიკური სილამაზეც უწყობდა ხელს წარმატებაში. „ვაკო ნიუს ტრიბუნში" წერდნენ: „გარდა იმისა, რომ თუმანიშვილი ერთერთი საუკეთესო თანამედროვე მოცეკვავეა, ის ძლიერ ლამაზიცაა და ბრწყინვალე სხივებს აფრქვევს სცენაზე. გარეგნობითა და მოქმედებით თუმანიშვილი იდეალური ბალერინაა, მას აქვს მეტისმეტად ლამაზი ხელები, როგორსაც იშვიათად თუ შეხვდებით".

კრიტიკოსმა არნოლდ პასკელმა გიშრისფერი თვალ-წარბ-წამწამის, თმისა და უნიკალური ცეკვის გამო თ. თუმანიშვილს რუსული ბალეტის „შავი მარგალიტი" უწოდა, ხოლო ბალეტის დიდმა მცოდნემ, ფრანგმა ლანდრე ვაილატმა კორექტივი შეიტანა და პრესის საშუალებით განაცხადა: თამარს სამკაულად „შავი ბრილიანტი" ან უბრალოდ „ბრილიანტი" უფრო შეეფერება.

თ. თუმანიშვილის მრავალფეროვან რეპერტუარში დიდმნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ჩაიკოვსკის „გედის ტბას" და სენ-სანსის „მომაკვდავ გედს". სწორედ ამ ბალეტში წარსდგა იგი პიტსბურგისა და ბალტიმორას საზოგადოების წინაშე და როლის იდეალური შემსრულებლის სახელი დატოვა. ცინცინატში ოდეტა ისე უთამაშნია, რომ თუ ჰენრი ჰამპრის დავუჯერებთ, თვით ჩაიკოვსკიც აცრემლდებოდა, თამარი რომ ეხილა თავის უკვდავ ქმნილებაში. თამარი ბოსტონს და ფილადელფიასაც სწვევია და დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია. ჯონ რილეის სიტყვით, „ჟიზელი" საუკეთესო წარმოდგენაა, როდესაც მთავარ როლს თუმანიშვილი ასრულებს. ცინცინატელი არტურ დრაკი მკითხველს ეკითხებოდა: „თქვენ არ ყოფილხართ დათოვლილი?" და თვითონვე პასუხობდა: „თუმანიშვილის ჟიზელი ისეთი ნაზია, როგორც ფიფქი, ისეთი მშვენიერი, როგორც თოვლი"...

თუმანიშვილმა გადაჰკვეთა შტატების ტერიტორია და წყნარი ოკეანის სანაპიროზე გავიდა. სან-ფრანცისკო განუყრელ დედა-შვილს ზეიმით და ოვაციებით შეხვდა. ეს მშვენიერი შავგვრემანი ქალი „მემორიალ ოპერა ჰაუსს" ეწვია. კმაყოფილი იყო ოპერის ადმინისტრაცია, რომელიც ანშლაგებით უზარმაზარ მოგებას ხვეტავდა.

ყველა ხოტბისა და რეცენზიის მოყვანა შორს წაგვიყვანს, მაგრამ სპეციფიური ხასიათის გამო მაჯორ ფიშერის აზრიც მოვისმინოთ, რომელიც „სან-ფრანცისკო ნიუსშია" დაბეჭდილი: „ნახო თუმანიშვილის ცეკვა, ნიშნავს იხილო კლასიკური რუსული ბალეტი მთელი მისი მშვენიერებით. იგი ცეკვის სულსა და რაობას ერთმანეთს უკავშირებს და ორივეს თანაბრად განაგებს".

თუმანიშვილი კანადაშიც ცეკვავდა და გრაციით ვანკუვერის „ორფეუმ თეატრიც" დაიპყრო. მონრეალის „ნოტრ-დამში" თუმანიშვილი



„ჟარ პტიცა“



გაიანე



„ჭრიჭინა“

„ესმერალდაში“ გამოვიდა და გასაოცარი ბრწყინვალებით, გზნებით და დახვეწილი ტექნიკით შეასრულა ქუჩის მოცეკვავე ბოშა ქალის როლი.

თუმანიშვილმა ლათინური ამერიკის ქვეყნებში 87 კონცერტი გამართა. ამ ხანგრძლივი ტურნეს დროს „შავმა მარგალიტმა“ მოინახულა ჩილი, პერუ, ეკვადორი, კოლუმბია, ურუგვაი, არგენტინა და სამუდამოდ მოინადირა ამ ქვეყნების ხალხთა გულები. მექსიკას რამდენჯერმე ეწვია და „ბალეტის დედოფლის“ სახელი დაიმკვიდრა. მეხიკოში ყოფნის დროს მონაწილეობდა ჩაიკოვსკის სიმფონიური პოემის „რომეო და ჯულიეტას“ საბალეტო განსახიერებაში. ტანკენარი ბალერინა ზებუნებრივი განცდის გარდა, ტანის პლასტიკით გადმოსცემდა სიყვარულის სევდასა და განწირულებას.

პავლოვას ღირსეული მემკვიდრე დიდ ბრიტანეთსაც ეწვია და მაყურებელი ალაფრთოვანა შოპენის, შუმანის, ჩაიკოვსკისა და მინკუსის ნაწარმოებების შესრულებით. შემდეგ უნიკალური ვარსკვლავი მილანის საზოგადოებასაც წარუდგა „შვიდ ნიღაბში“ და დაიპყრო იტალიელები.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ თ. თუმანიშვილი პარიზის „გრანდ ოპერის“ პრიმა ბალერინად მიიწვიეს და ლიფართან ერთად ცეკვავდა. 1947 წელს თამარი მთავარ როლებს თამაშობდა ბალანჩინის მიერ დადგმულ „ჯადოსნის კოცნასა“ და „ბროლის სასახლეში“. სცენის ოსტატმა კინოც დაიპყრო და ჰოლივუდში გადაღებულ „მეოცე საუკუნის ტალიონში“ ანა პავლოვა გააცოცხლა. გარდა ამისა, მრავალჯერ ბრწყინავდა ეკრანზე ცნობილი კინო მსახიობების — გრეგორი პეკის, ჟანა კელის და ჯოუ ფერარის გვერდით. შემდეგ მან ისევ პავლოვა წარმოადგინა საკმაოდ გახმაურებულ ფილმში: „ვიმღერებთ ამ ღამეს“.

1950 წელს თ. თუმანიშვილი „გრანდ ოპერის“ დასთან ერთად, საგასტროლოდ იმყოფებოდა სამხრეთ ამერიკაში. ამ ტრიუმფალური ტურნეს შემდეგ ბალერინა ისევ პარიზს დაუბრუნდა. ფერნანდ ჰაზანის „თანამედროვე ბალეტის ლექსიკონში“ ვკითხულობთ: „თუმანიშვილი არ არის მხოლოდ იშვიათი ძალის ვირტუოზი, როგორც ამას გვიჩვენებს მისი არაჩვეულებრივი თავისუფლება და სილაღე „ჟიზელის“ 1 აქტის ცნობილ დიაგონალში და მეორე აქტის არაბესკებში. ის ცეკვის დრამატული განმასახიერებელი და თანამედროვე ქორეოგრაფიის საუკეთესო ტრაგიკოსიცაა“.

თ. თუმანიშვილი დღესაც „გრანდ ოპერის“ პრიმადონა და ცნობილი ვარსკვლავია. ამ ბოლო დროს ს. ლიფართან ერთად ის ცეკვავდა ბალეტ „ფედრაში“.

1962 წელს მექსიკურმა ჟურნალმა „ტოდომ“ თამარ თუმანიშვილი ექსპრესიული სენტიმენტალისტის, გენიალური ტრაგიკოსის და ჯადოსან ბალერინას ტიტულით მონათლა.

უცხოეთში მონავარდე ქართველი ვარსკვლავის აპოთეოზი იუმორისტული და აღმოსავლური ჟანრის ბალეტებია. იგი აჯადოებს მაყურებელს: „იუმორესკაში“, „სალომეაში“, „აღმოსავლურ დიდ პაში“. ხაჩატურიანის „გაიანე“, რომელიც თუმანიშვილის ქორეოგრაფიული უნარის პირველი მაუწყებელია, ამერიკაში ქართულ ბალეტად წარმოუდგენიათ. ამის მიზეზი ისიცაა, რომ თუმანიშვილი გაიანეს საკუთარი ინტერპრეტაციით განასახიერებს და იგი ქართული სულითა და ტემპერამენტით გაუჟღენთია. ქართული ცეკვების გამოყენებით და ორიგინალური კოსტუმებით იგი ბრწყინვალედ, ბუნებრივად გადმოსცემს სახასიათო როლს და უნაკლოდ განასახიერებს საბჭოთა კომპოზიტორის ბალეტის გმირს. ბუენოს-აირესელი ფერნანდ ემერი წერდა: „თუმანიშვილი სლავური სულის და ქართული სილამაზის თანამედროვე, ჩამოყალიბებული, უნივერსალური პრიმა ბალერინაათ“.

თამარ თუმანიშვილმა 40 წელს გადააბიჯა, მაგრამ მოკაშკაშე ვარსკვლავი ჯერ არ გაფერმკრთალებულა და ბრწყინვალებით განაგრძობს სრბოლას; თუ რამდენი გასაჭირი და სიძნელე გადაიტანა, ამას, ალბათ, მომავალში თვითონ დაწერს.

არავინ იცის, სად დამთავრდება თუმანიშვილის კარიერა — ლოს-ანჟელოსში, თუ სხვაგან სადმე. ან ვისთვის გაზრდის ახალ ვარსკვლავებს, უცხოეთისთვის თუ დედულეთისთვის, მაგრამ ცხადია, მსოფლიოში ცნობილი ქართველი ქალის სახე ხელოვნების მოყვარულთა ხსოვნაში ოცნების დედოფლად აღიბეჭდება.

ამირან ცამციშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სემიონ ქურახოვსკი



# დედა ავადაა

მხატვარი ზ. გოგოლაძე

მოთხრობა

— კიდევ რა გაგიკეთო, დედა?

— გმადლობთ, ნატალკა, შენ ისედაც ბევრი იხლაფორთე. ჩამოჯექი ცოტახნით. დაისვენე.

დედა ავადაა. ნატალკამ სამსახურიდან მოირბინა. გაუცხელა წვნიანი, შეუწვა კატლეტები, რომლებიც თან მოიტანა. დედა ასადილა. თუმცა განა ეს ჭამაა? ყოველი კოვზის შემდეგ: — „რაღაც არ მინდა. მერე, მერე...“ ნატალკამ უცბად გარეცხა ჭურჭელი და სახელდახელოდ მიალაგ-მოალაგა ოთახი. მტვერი გადაწმინდა — ან საიდან ჩნდება ამდენი, გუშინ არ გააპრიალა? გამოგავა. დედას სასთუმალთან გაზეთები დაუწყო — მერე წაიკითხავს. თერმოსში მდუღარე ჩაასხა — საღამოსთვის ჩაი ექნება. კიდევ რა?

ნატალკა მიიხედ-მოიხედავს. თითქოს ყველაფერი რიგზეა. ის სკამის კიდეზე ჩამოჯდება და ყვება, რომ აქეთ გზადმომავალმა წუთით შეირბინა ფეხსაცმლის მაღაზიაში და ძალიან კარგი ფეხსაცმელი ნახა, მუქი ლურჯი, დაბალ ქუსლზე...

— იქნებ, შენთვისაც ამელო? — ეკითხება ნატალკა.

— არა, არაა საჭირო, არაფერი მიშავს.

ეს სიტყვები ნატალკას დიდი ხანია ესმის. „მე არაფერი მიშავს“, — ამბობდა ყოველთვის დედა, როცა თავისი გოგონასთვის რამეს ყიდულობდა... მაგრამ ახლა ნატალკა ჯავრობს. მას უმუქდება თვალები და შუბლი უწითლდება.

— რას ნიშნავს „არაფერი მიშავს“? — უკმაყოფილოდ ამბობს ის, — აბა, შენს ფეხსაცმელს დახედე. თავის მოჭრაა!.. გიყიდი-და მორჩა!

— მოვიკეთებ და მე თვითონ ვნახავ, — თანხმდება დედა. — რა საჩქაროა.

ნატალკა დილაადრიან მორბის. „იწექი, დედა, მე შენ ხაჭოიანი ღვეზელი მოგიტანე, ახლა ჩაისაც დაგიდგამ“. სამსახურის შემდეგ კი, აი, როგორც ახლა, შემოირბენს ხოლმე, ათი წუთით მაინც.

— მეტი არაფერი გინდა, დედა?

— იჯექი, ნატალკა, ისედაც დაიღალე მთელი დღის განმავლობაში.

საბანზე აწყვია დედის თხელი, მოყვითალო-ფერმკრთალი ხელები. მარჯვენა ხელის თითები ფათურობენ, თითქოს უჩინარ სიმებს ეხებიან. ოდესღაც დედა კარგად მღეროდა და უკრავდა გიტარაზე. „ნეტავ, სადაა ის გიტარა?“—თავისთავს დაეკითხა ნატალკა. საოცარია, იყო და გაქქრა, ღმერთმა იცის, როდის. და ყველას გადაავიწყდა. ნატალკას ახლაც უცბათვე ავიწყდება ეს ამბავი. ფიქრებს თავის ოჯახში გადაჰყავს. დღესაც შეაგვიანდა. სამი წლის ოლენკა, ალბათ, ტირის: „დედა სადაა?“ მიხაილო დუმს, მაგრამ, ალბათ, ცოტა უკმაყოფილოა. ის ყოველ დღე მზრუნველობით ეკითხება ნატალკას დედის ჯანმრთელობის ამბავს, ორჯერ იყო კიდეც დედასთან, ხან წამალი მოუტანა, ხან კიდევ რაღაც. და მაინც...

„არა, ტყუილია, — თავს იმშვიდებს ნატალკა. — მიხაილო კეთილია და ამის მსგავსს არაფერს გაიფიქრებს“. არადა თვითონ ნატალკასაც უჭირს. ლამის გაიგლიჯოს: სამსახური, ოჯახი, პატარა ოლენკა და ავადმყოფი დედა.

დედა წევს, ნატალკასკენ სახემობრუნებული.

— მოიყვანე ხვალ ოლენკა. ნახევარი საათით მაინც. ახლა კი გაიქეცი. ისინი გელიან.

— ახლავე, დედა, ერთ წუთს მოვიცდი...

ის მზადაა მოსწყდეს ადგილს და გაიქცეს, მაგრამ ეუხერხულება. ნუ იფიქრებს დედა, რომ ასე ადვილად ტოვებს მარტო...

ნატალკა უცქერის დედის გამხდარ სახეს. მერე მზერას აშორებს. რაღაც გრძელი და ნემსივით წვრილი ჭვალასავით უვლის მკერდში, ის კრთება ამ ტკივილისაგან და ძლივსძლიობით ახერხებს ამოსუნთქვას. ასლა ის წავა და დედა მარტო დარჩება, მარტო მთელი საღამო. დედას ცუდად ძინავს, ხშირად აღვიძებს სიზმრები და დღეც მძიმედ გადააქვს. თუმცა დღე, ხანდახან ვინმე მეზობელი მაინც შემოირბენს, ექთანი მოვა ნემსის გასაკეთებლად... „მაგრამ ხომ შეიძლება დედა მარტო არ ყოფილიყო?“ — შეეკითხა თავისთავს ნატალკა და უცებ შეეშინდა ამ აზრის...

— დედა, სად არის ახლა ძია ვასია? — წამოსცდა უნებლიედ, ვიდრე იფიქრებდა, ღირდა თუ არა ამ კითხვის მიცემა.

— ძია ვასია? — ყრუდ შეეკითხა დედა ისე, რომ კედლისთვის თვალი არ მოუცილებია.

— ჰო, ვასილი მიხაილიჩი. აი, ის, ოდესღაც ჩვენთან რომ დადიოდა. დაგავიწყდა, განა?

— არ ვიცი. დიდი ხანია აქედან სადღაც წავიდა. მაგრამ რად კითხულობ?

— ისე...

დედა ისევ კედელს უყურებდა და დუმდა. მერე ფერდაკარგული ტუჩები შეირხნენ:

— უკვე ათი წელია ამ ქალაქიდან წავიდა.

„ათი წელი, ათი წელი, — გაიმეორა გუნებაში ნატალკამ. — მე მაშინ თხუთმეტის ვიყავი. ეს, ალბათ, ცოტაა. თუ, პირიქით, ბევრი?“

როცა თხუთმეტი წლის ხარ, სხვანაირად, სულ სხვანაირად უყურებ ცხოვრებას.

მოდიოდა ბიძია ვასია. კეთილი, მხიარული ძია. მოჰქონდა კანფეტები, სათამაშოები. „რატომ, რატომ?“ — ჯავრობდა დედა, მაგრამ არც ისე ჯავრობდა. ძია ვასია, აი, აქ იჯდა, მაგიდასთან. სვამდა ჩაის, ყვებოდა თავისი მოგზაურობების საინტერესო ამბებს.

კედელზე კი, მრგვალ სარკესთან ეკიდა (და ახლაც ჰკიდია) ნატალკას მამის, ლეიტენანტ დრობოშის სურათი. და სადღაც, დედის ქაღალდებში იყო სამგლოვიარო დეპეშა.

მერე?

ერთხელ დედამ, თითქოს სხვათაშორის, სთქვა:

— გინდა, ძია ვასია შენი მამა გახდეს? მაშინ მე მას ცოლად გავყვები.

და მოელვარე, შეშფოთებული თვალებით შეხედა მაღალკანჭება, ჩალისფერთმიან გოგონას. გოგონა შეცბა:

— მერე მამა? — ნატალკას არ ახსოვდა მამა. მაგრამ მისი სურათი თვალწინ ჰქონდა ყოველდღე. როგორც აი, ახლა.

დედას ნაცრისფერი დაედო, თვალები ჩაუქრა.

— მამა ათი წლის წინ დაიღუპა, — ხმადაბლა ჩაილაპარაკა მან.

— მერე?! მერე?! — ყვიროდა მაღალკანჭება გოგონა და დედას მისჩერებოდა წყენით და აღშფოთებით. — როგორ არ გრცხვენია?

— ნატალკა, გაჩუმდი!

მაგრამ მაღალკანჭება გოგოს დამშვიდება არ იქნა და არა.

— წავალ, სახლიდან წავალ, — იმეორებდა დაჟინებით...

ღამე დედა ჩუმად ტიროდა. ნატალკა იწვა და დაძაბული უსმენდა, მაგრამ დედას არ მიუახლოვდა, არ მიეფერა. პირიქით, ამტყუნებდა, უწყალოდ და შეურიგებლად.

აი, ყველაფერი. მერე ლაპარაკი ამის შესახებ აღარ ყოფილა. ნატალკას არ შეუმჩნევია, როგორ შეწყვიტა სიარული ძია ვასიამ. ჰოდა, მერე სულაც დაავიწყდა ის საუბარი და ის დღე.

„მაგრამ დედას? დედას არ დაავიწყდებოდა“, — ნატალკა უცქერის დედის უმოძრაო სახეს და ახლა თანდათან ხვდება, რომ დედას მთელი ამ წლების განმავლობაში არ დავიწყნია ის დღე. და ის უძილო ღამე. იქნებ, ესიზმრება კიდეც.

როცა თხუთმეტი წლის ხარ, შენებურად უყურებ ცხოვრებას. ორმოცი წლის ადამიანები მოხუცები გგონია. ორმოცი წელი, უჰ! დედა იყო ლამაზი და ახალგაზრდა. დედა მშვენივრად უკრავდა გიტარაზე და მღეროდა! და მაშინ ორმოცის იყო...

ახლა? დედას ახლაც ლამაზი სახე აქვს. და თუ ნაოჭები აქვს და საფეთქლებთან შეთეთრებული თმა — ამას რა უშავს...

„რატომ მოვაგონე? რატომ?“ — ტუჩებს იკვნეტს და თავს საყვედურობს ნატალკა.

ორი თვის წინ დაბადების დღე გადაიხადა: ვიღაცამ სახუმარო ადრესი მოუტანა: „მეოთხედი საუკუნე — მეოთხედი იუბილეა!“ აგერ, ოცდაექვსმაც



მოუკაკუნა. ჰყავს ქმარი, სამი წლის გოგონა, აქვს საინტერესო სამუშაო. დედას კი არ დაეიწყნია არც ის დღე და არც ის ღამე...

წასვლის დროა. ნატალკა ზის და დუმს.

— რად მკითხე იმაზე? — წყნარი, თანაბარი ხმით ეკითხება დედა.

— ისე, — ჩაილუღლუღა ნატალკამ.

და ისინი კვლავ დუმან.

„რა ვიცი მე დედის ცხოვრების შესახებ?“ — ეკითხება თავისთავს ნატალკა და პასუხს ვერ პოულობს. ან მისი სიზმრების შესახებ, ღამე რომ აღვიძებენ? არც ამის შესახებ ვიცი არაფერი. ის მე არასდროს მიამბობდა.

— წადი, ნატალკა. ხვალ კი ოლენკა მომიყვანე. ნახევარი საათით მაინც. გრიპმა უკვე გამიარა...

— მოვიყვან, მოვიყვან, — ჩქარ-ჩქარა პასუხობს ნატალკა. — იქნებ, კიდევ გინდა რამე?

— გმადლობთ, ყველაფერი მაქვს. თბილად ჩააცვი. გარეთ, ალბათ, ჯერ კიდევ ცივა.

ნატალკა დედას კოცნის.

— აბა, ხვალამდე. ოლენკას აკოცე. მიშა მომიკითხე.

ნატალკა მძიმედ მიდის კარისაკენ. ზღურბლთან ჩერდება და უკან იხედება.

ყვითელ ბუმბულა საბანზე აწყვია დედის ფერდაკარგული ხელები.

თარგმანი უკრაინულიდან

# საუბრები მუსიკაზე

ჩვენთან სტუმრად არიან ქართული მუსიკალური კულტურის გამოჩენილი მოღვაწენი

## ოდისეი დიმიტრიადი

**(თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის მთავარი დირიჟორი, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი).**

ახალს ყოველთვის სიხარული მოაქვს. დიდია ახლის ძალა — იგი ფრთებს გასხამს, ცხოვრებას ალამაზებს, ამშვენებს, სულ სხვაგვარად გამოქმედებს და გააზროვნებს.

როცა ჩვენს თეატრში ახალი სეზონი გაიხსნა, ყველა, ვინც კი ამ თეატრის ხშირი სტუმარია, უწინარეს ყოვლისა დაინტერესდა: — ნეტავ რას დადგამენ ამ სეზონში? — ეს სავსებით ბუნებრივია: თეატრის მხატვრულ დონეს, მის შემოქმედებით მიმართულებას ხომ ყველაზე უფრო რეპერტუარი განაპირობებს! თვითეული ახალი თეატრა-



ლური სეზონი ჩვენთვის მხოლოდ მორიგ სპექტაკლებს როდი ნიშნავს; იგი ხანგრძლივი შემოქმედებითი გზის ახალი ეტაპიცაა! იმაზე, თუ რას მოისმენს და იხილავს სცენაზე ჩვენი მაყურებელი, ბევრი რამ არის დამოკიდებული. რასაკვირველია, არანაკლებ მნიშვნელოვანია, თუ როგორ მივაწვდით ჩვენს ხელოვნებას მაყურებელს. მნიშვნელოვანია, როგორც ჩვენ, მუსიკოსები ვამბობთ, ოსტატობა მთელი კოლექტივისა და შემსრულებლებისა, თითოეული მათგანისა და ყველასი ერთად.

რეპერტუარის ერთფეროვნება ისევე საშიშია ყოველი თეატრისათვის, როგორც მხატვრული და საშემსრულებლო ხელოვნების დაბალი დონე. და პირიქით, როგორ ამდიდრებს მაყურებელსაც რეპერტუარის სიმდიდრე! ჩვენი შარშანდელი თეატრალური წელი აღსავსე იყო მთელი რიგი დიდი და პატარა მოვლენებით და დასრულდა მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანით — გასტროლებით მოსკოვში. ჩვენთვის ეს გახლდათ დიდი გამოცდა და ყოველნაირად შევეცადეთ პირნათლად შევხვედროდით მას.

აი, ახალი სეზონიც დაიწყო! გვიტაცებს ახალი აზრები, შემოქმედებითი ძიებანი, დიდი სურვილები და ერთადერთი მიზანი — მუდამ ვიხილოთ ჩვენი თეატრი ხალხით სავსე, მუდამ ჩქეფდეს აქ მდიდარი, ჭეშმარიტად თეატრალური ცხოვრება.

კარგახანია ვოცნებობდით აგვეჟღერებინა ჩვენს სცენაზე მოცარტის რომელიმე ოპერა. ეს ორმაგად დააინტერესებს ჩვენს მაყურებელს. ჯერ ერთი, მოცარტი იშვიათად იდგმება საოპერო სცენაზე, მეორეც, — ჩვენი მსმენელი ეზიარება ჭეშმარიტად გენიალურ მუსიკას, რომელიც აკეთილშობილებს და ამაღლებს ადამიანს. არჩევანი შევაჩერეთ „დონ-ჟუანზე“ — მოცარტის ყველაზე შესანიშნავ ქმნილებაზე. დიახ, ეს ოპერა მეტად რთულია, განსაკუთრებით ვოკალურად, იგი მოითხოვს მომღერლებისაგან დიდ ვოკალურ კულტურას. მაგრამ თუკი მოცარტს მივმართეთ, დაე, ეს მხოლოდ „დონ-ჟუანი“ იყოს. რატომღაც ამ ოპერას იშვიათად დგამენ ჩვენი თეატრები. გავიგეთ, რომ ის მეტად საინტერესოდ და თამამად დაუდგამთ ნოვოსიბირსკის საოპერო სცენაზე. ამიტომაც დასადგმელად მოვიწვიეთ ნოვოსიბირსკის რეჟისორი პასინკოვი, ხოლო იდირიჟორებს ჩვენი ახალგაზრდა დირიჟორი ჯანსუღ კახიძე.

ჩვენს სცენაზე აჟღერდება მუსორგსკის „ბორის გოდუნოვი“ შოსტაკოვიჩის რედაქციით. ეს ძლიერ საინტერესო ფაქტია... იმ „ბორის გოდუნოვს“, რომელსაც ჩვენ კარგად ვიცნობთ, მუსორგსკის გარდაცვალების შემდეგ რედაქცია გაუკეთა რიმსკი-კორსაკოვმა. ასე დამკვიდრდა ეს დადგმა საბჭოთა სცენაზე. მაგრამ ხომ არსებობს მუსორგსკის პირვანდელი ქმნილება, რომელიც განსაკუთრებით საინტერესოა მსმენელისათვის ტიპიური „მუსორგსკისებური“ თვისებებით.

რამდენიმე წლის წინათ „ბორის გოდუნოვის“ პირვანდელი ვარიანტის აღდგენის ძნელ, მაგრამ უაღრესად კეთილშობილურ საქმეს ხელი მოჰკიდა თანამედროვეობის უდიდესმა კომპოზიტორმა შოსტაკოვიჩმა. ამ სახით ეს ოპერა უდიდესი წარმატებით დაიდგა დიდ თეატრში. ჩვენც გადავწყვიტეთ ამ ვარიანტის განხორციელება. ოპერას დადგამს სტანისლავსკისა და ნემიროვიჩ-დანჩენკოს სახელობის საოპერო თეატრის რეჟისორი მიხაილოვი. მხატვრად მოვიწვიეთ ზოლოტორიოვი. ორივენი ჩვენთან მეორედ ჩამოდიან — შარშან ჩვენს სცენაზე მათ პროკოფიევის „სემიონ კოტკო“ დადგეს. „ბორის გოდუნოვს“ ამ სტრიქონების ავტორი უდირიჟორებს.

ჩვენმა თეატრმა მოამზადა ანდრია ბალანჩივაძის ახალი ბალეტი — „მწირი“. ბუნებრივია, მაყურებლები დიდი ინტერესით მოელიან მას. გარდა ამისა, უნდა აღვადგინოთ კილაძის „სინათლე“ — ჩვენი მაყურებლის ერთერთი საყვარელი სპექტაკლი.

გეგმები კიდევ ბევრი გვაქვს. ჩვენს სცენაზე განუწყვეტლივ იმღერებენ გასტროლიორები — ჩვენი, საბჭოთა და უცხოეთიდან ჩამოსულნი. ჩვენც გავემგზავრებით საზღვარგარეთ. ახლახან ჩამოვედი საბერძნეთიდან. კონცერტებით გამოვედი ორ ქალაქში — ათენში და სოლონიკში. როგორი იყო რეპერტუარი? შევეცადე, რაც შეიძლება საინტერესოდ შემედგინა: ჩაიკოვსკის მეხუთე სიმფონია, ნაწყვეტები ხაჩატურიანის ბალეტიდან „გაიანე“, ორი კონცერტი — მოცარტის საფორტეპიანო და ჩაიკოვსკის — სავიოლინო, რომლებსაც უკრავდნენ ადგილობრივი ბერძენი მუსიკოსები. ხოლო ორივე კონცერტს ორივე ქალაქში ვიწყებდი გენიალური „დაისის“ შესავლით, რადგან მსურდა, ჩემი გამოსვლები უცხოეთში ქართული ჰანგებით დაწყებულიყო...

ამის შემდეგ ვიყავი ბულგარეთში, სადაც ვუდირიჟორე რამდენიმე საოპერო სპექტაკლს.

ახალი თეატრალური წელი საინტერესოდ დაიწყო. და ყველაზე დიდი სიხარული ჩვენთვის ის იქნება, რომ მაღალი ხელოვნებით გაგიტაცოთ და მოგხიბლოთ თქვენ, ჩვენი მსმენელები!



## დავით თორაძე

**(საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის თავმჯდომარის პირველი მოადგილე)**

შემოქმედებითი ცხოვრება ჩვენს კავშირში არ წყდება ერთი წუთითაც. ასეთია ჩვენი პროფესიის ადამიანთა თავისებურება:

ეროვნული ბიბლიოთეკა

თითოეული გატაცებულია ახალი შემოქმედებითი გეგმებით, ახალი ჟანრებით, ახალი თემებით. თითოეული ქმნის თავისებურად. ჩვენი კავშირის ყოველი წევრი ხომ მკაფიო შემოქმედებითი ინდივიდუალობაა! მაგრამ ყოველ მათგანს, შექმნის დიდსა თუ პატარა ნაწარმოებს, საოპეროსა თუ სიმფონიურს, ვოკალურსა თუ ინსტრუმენტულს, ჩვენს დიდ ოჯახში მოაქვს იგი, რათა გამოიტანოს მეგობრების სამსჯავროზე და მოისმინოს რჩევა-დარიგებები. მხოლოდ ამის შემდეგ მიდის მსმენელთან ახალი ნაწარმოები.

კომპოზიტორთა კავშირში არ წყდება შემოქმედებითი სექციების მოღვაწეობა. ეს ჩვენი ყოველდღიური, ჩვეულებრივი ცხოვრებაა, რომლის გარეშე ვერ წარმოგვიდგენია არსებობა. ამ ყოველდღიურობის საფუძველზე შემდეგ რაღაც უფრო დიდი, მნიშვნელოვანი, განზოგადოებული, საზეიმო-სადღესასწაულო აღმოცენდება.

დიდი ხანი არაა, რაც საზეიმოდ აღვნიშნეთ ჩვენი გამოჩენილი კომპოზიტორის შალვა მშველიძის იუბილე. განა მარტო იუბილარისათვის, ყველა ჩვენგანისათვის ეს ზეიმი ღირშესანიშნავი გახლდათ — შალვა მშველიძე და ანდრია ბალანჩივაძე ხომ ქართული საბჭოთა მუსიკის დიდი მოამაგენი არიან. მათ გაგვიკაფეს გზა, რამდენიმე რამ ვისწავლეთ მათგან!

მალე აღვნიშნავთ უხუცესი ოსი კომპოზიტორის გალაევის იუბილეს, შემდეგ კი — განსვენებულ, ჩვენთვის ყველასათვის ესოდენ საყვარელ დიმიტრი არაყიშვილის იუბილეს.

9753

რა მდიდარი და მრავალფეროვანიც არ უნდა იყოს ქართული მუსიკა, იგი ერთ წერტილზე გაიყინებოდა ახალი სახელებით, ახალი ნაწარმოებებით რომ არ ივსებოდეს და მდიდრდებოდეს, რომ მისი მუსიკალური ენა, გამომსახველობითი ხერხები მუდამ არ განახლდებოდეს. ახალს დაეძებს ყველა, მისკენ მიისწრაფვის თითოეული, მაგრამ არავინ ისე გაბედულად და თამამად არ იჭრება გამოუკვლეველის სიღრმეში, როგორც ახალგაზრდობა. ამიტომ მის მოსვლას ჩვენ განსაკუთრებული სითბოთი და სიხარულით ვხვდებით. მალე ჩავატარებთ დიდ პლენუმს, რომელზეც აჟღერდება ქართველ კომპოზიტორთა ახალი ნაწარმოებები. ეს პლენუმი მხოლოდ ჩვენთვის, მუსიკოსებისათვის როდია საინტერესო. იგი წარმოგვიდგება სიმფონიური და კამერული კონცერტების, საოპერო სპექტაკლების ციკლად, რომლებზეც გვსურს რაც შეიძლება მეტი მსმენელი მოვიზიდოთ და ნიჭიერ ახალგაზრდობას აქაც განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა.

ჩვენ გვსურს უფრო ფართოდ გავაღოთ ჩვენი კავშირის კარები, დავუახლოვდეთ მსმენელებს. ტრადიციად იქცა ყოველ კვირაში, პარასკევობით მუსიკის მოყვარულთა შეკრება ჩვენს კავშირში. ისინი ეცნობიან თანამედროვე საბჭოთა, უცხოურსა და აგრეთვე კლასიკის უნიკალურ ქმნილებებს. ჩვენ საუცხოო ჩანაწერებს ვიღებთ მოსკოვიდან, ლენინგრადიდან, საზღვარგარეთიდან. „მუსიკალური პარასკევები", როგორც მათ ვუწოდეთ, ყველაზე ხალხმრავალი დღეებია ჩვენს კავშირში. განსაკუთრებით ხშირად მოდის ამ საღამოებზე სტუდენტობა, ახალგაზრდობა.

სულ უფრო და უფრო იკაფავს გზას ქართული მუსიკა ჩვენი რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ. დიდი ხანი არ არის მაჭავარიანის „ოტელომ" მოაჯადოვა კიდევ ერთი ქალაქი—ბალეტი დაიდგა ოდესაში. ბევრი ქალაქის საოპერო სცენა მოიარა ვანო გოკიელის პატარა, ლამაზმა „წითელქუდამ". სტანისლავსკისა და ნემიროვიჩ-დანჩენკოს სახელობის საოპერო თეატრში იდგმება ჩემი ოპერა — „ჩრდილოეთის პატარძალი"...

ყოველწლიურად ჩვენი კავშირის შემოქმედებით ცხოვრებაში ისეთი მოვლენები ხდება, რომელთა მნიშვნელობა სცილდება ყოველდღიურს, ჩვეულებრივს. წელს ასეთი რამ „ამიერკავკასიის მუსიკალური გაზაფხულია". ჟურნალის მკითხველებს, ალბათ, ახსოვთ, რომ რამდენიმე წლის წინათ პირველი ასეთი გაზაფხული ჩატარდა ბაქოში, ერევანსა და თბილისში.

მეორე „გაზაფხულში" მონაწილეობას მიიღებენ საუკეთესო მუსიკოსები, სამი მოძმე რესპუბლიკის კომპოზიტორები, შემსრულებლები. ყოველივე საუკეთესო, რაც ამ რესპუბლიკებში უკანასკნელ პერიოდში შეიქმნა, „გაზაფხულზე" აჟღერდება.

„მუსიკალური გაზაფხული" ჩატარდება მაისში, როდესაც გარშემო ბუნება აყვავდება — ეს იქნება ჩვენი ხელოვნების, ჩვენი მუსიკის გაფურჩქვნა. ბაქოში, ერევანში, შემდგომ თბილისში ჩამოვლენ უამრავი სტუმრები ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხიდან და უცხოეთიდან. „მუსიკალური გაზაფხული" ამ წელს ყველაზე საინტერესო ფურცელია ჩვენი კავშირის შემოქმედებითი ცხოვრებისა. გულწრფელად გიწვევთ ამ „გაზაფხულზე" მუსიკის ყველა მოყვარულს!

## მედეა ამირანაშვილი

**(საქართველოს სსრ სახალხო არტისტი)**

ყველას, ვინც კი საკონცერტო ესტრადაზე ან სცენაზე გამოდის, მეტად, თუ ნაკლებად, აღელვებს მისი გამოსვლის შედეგი. ესაა კარგი შემოქმედებითი მღელვარება, რომელიც მუდამ უნდა იყოს ჩვენი თანამგზავრი, რადგანაც ის მაღალი ხელოვნების თავისებური იმპულსია. ამგვარ შემოქმედებით მღელვარებას მე ყოველთვის განვიცდი. მაგრამ არასდროს ისე ძლიერ არ მსურს ვიყო ჭეშმარიტად მხატვრულ სიმაღლეზე როგორც მაშინ, როდესაც ჩემი საშემსრულებლო ხელოვნება მშობლიური საქართველოს ფარგლებს გარეთ გამაქვს. მსურს თითოეული ჩემი გამოსვლა გამარჯვებად იქცეს; რადგან, ყველა, ვინც კი მისმენს, უწინარეს ყოვლისა, ქართველ მომღერალს უსმენს, ქართულ ვოკალურ სკოლას, ქართულ ჰანგებს, ჩემი ხალხის კულტურას.

ამგვარი რამ განვიცადე რამდენიმე წლის წინათ, როდესაც მოსკოვში მოეწყო საბჭოთა კომპოზიტორების მეორე საკავშირო ყრილობა. ჩაიკოვსკის სახელობის დარბაზის სცენაზე საკონცერტო შესრულებით დაიდგა ო. თაქთაქიშვილის „მინდია". ამ მელოდიურ, ლამაზ ოპერას დიდი წარმატება ხვდა. მისი თითოეული მონაწილე მოხარული იყო, რომ ოდნავ მაინც შეუწყო ხელი ამ ზეიმს. მე მზიას ვმღეროდი. ვმღეროდი და ყოველხაირად ვცდილობდი გადამეშალა რუსი მსმენელის წინაშე ქართველი გოგონას სულიერი სამყარო, მისი პოეტურობა, სიმამაცე და შეუდრეკელობა...



სულ ახლახან დავბრუნდი გასტროლებიდან. მოვიარე ჩვენი ქვეყნის ბევრი ქალაქი. ვიმღერე „ტრავიატა" და „ფაუსტი" დიდი თეატრის სცენაზე. განსაკუთრებით ვამაყობ ამით, რადგანაც ჩემი პარტნიორი იყო თქვენთვის კარგად ცნობილი სერგეი ლემეშევი.

ცნობილია, რომ ლემეშევის სასიმღერო მოღვაწეობა ჩვენს ქალაქში, თბილისში დაიწყო. პირველი სპექტაკლი, რომელშიც ის გამოვიდა, აქაურ სცენაზე იყო „ფაუსტი". ლემეშევის პარტნიორი (ზიბელის როლში) გახლდათ დედაჩემი — ნადეჟდა ცომაია. ახლა ჩემი გამოსვლის წინ დიდ თეატრში ლემეშევმა სიყვარულით მოიგონა ეს ამბავი.

მოსკოვის შემდეგ გამოვედი პერმის შესანიშნავ საოპერო თეატრში. იქ ბევრს მუშაობენ რეპერტუარის განახლებაზე, განსაკუთრებით, თანამედროვე სპექტაკლების დადგმაზე. პერმში ვიმღერე „ფაუსტი", „ტრუბადური", და „ტრავიატა".

მალე გავემგზავრები რუმინეთში და ბულგარეთში. ძალიან მინდა, რომ ამ ქვეყნებში რაც შეიძლება კარგად წარმოვადგინო ჩვენი ქართული საშემსრულებლო კულტურა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენ ვწერენ:

# მას ყველგან ეძახიან

1948 წლის ზაფხულში აფხაზეთის, სვანეთის სოფლებს მალარიის ეპიდემია მოედო და ასობით ადამიანი ლოგინს მიაჯაჭვა. თბილისის ეპიდემიოლოგიურმა სამმართველომ აჭარაში ეპიდემიოლოგთა ჯგუფი გაგზავნა ექიმ ბიჭაშვილის ხელმძღვანელობით. ამ ჯგუფში შედიოდა ახალგაზრდა ექთანი მარიამ გრძელიძეც. ერთი თვის ენერგიულმა მუშაობამ თავისი ნაყოფი გამოიღო, მალარიის ეპიდემიის კერა ჩააქრეს.

ამ ერთი თვის განმავლობაში სად არ იყო ახალგაზრდა ექთანი! შორეულ საკენსა და პტიში, ხუტიასა და ომარიშალში, ხან მანქანით, ხან ცხენით და ხანაც ფეხით. თითქოს აფხაზეთის სვანეთის მთებში გაიზარდაო, ისე შეეჩვია აქაურ მკაცრ ბუნებას და საცალფეხო ბილიკებს. მშობლიურ თბილისივით შეიყვარა თოვლიანი მთები და ამწვანებული გორაკები, ტყით დაფარული ხეობები და შმაგი კოდორის ტალღათა დგაფუნი და რაც მთავარია, შეიყვარა სვანები, ალალმართალი, პირდაპირი, ვაჟკაცური და მუხლმაგარი ხალხი. დიდი ხნის ნაცნობ-ნათესავებივით შეეთვისა იგი აჭარლებს. მისი პირველი სიყვარულიც აქ გაიშალა: აჭარის საშუალო სკოლის მასწავლებელს მელქისედეკ გულბანს გაჰყვა ცოლად და საავადმყოფოში დაიწყო მუშაობა მორიგე ექთნად. პირველი დღეებიდანვე გაიცნო იგი მოსახლეობამ, როგორც დაუზარელი, გულისხმიერი, ენერგიული და საქმისმცოდნე.

მარიამი გამოცდილი ექიმების ი. მელაშვილისა და ბ. აფრასიძის ხელმძღვანელობით ყოველდღიურად იმაღლებს თავის თეორიულ და პრაქტიკულ ცოდნას. ახლა მედიცინაში მას ყველაზე უფრო გინეკოლოგია იტაცებს. თითონაც უკვე დედაა და თავისი საბოლოო პროფესიადაც დედათა დახმარებას — ბებიაქალობას ირჩევს. მალე აჭარის საავადმყოფოში იგი ბებიაქალის თანამდებობაზე იწყებს მუშაობას. მთებში აქა-იქ ჯერ კიდევ შემორჩენილი იყო ქალების ჯიუტობა საავადმყოფოში მოლოგინების გამო, მაგრამ მარიამმა თავისი პრაქტიკული საქმიანობით მალე დაარწმუნა მთიელი ქალები სამედიცინო ჩარევის აუცილებლობასა და სარგებლიანობაში. მარიამი საავადმყოფოს გარდა ადგილზე უწევს დახმარებას ავადმყოფ და მშობიარე ქალებს, საჭიროების შემთხვევაში არ ერიდება 20–25 კილომეტრით დაშორებულ სოფლებში მგზავრობას. შორეული სოფლები ლათა და აძგარა, საკენი თუ ომარიშალი კარგად იცნობენ ამ ენერგიულ ქალს, რომელიც ყოველთვის მზადაა მიატოვოს საკუთარი ოჯახი, ხუთი შვილი და ავადმყოფთან გაჩნდეს.

...მთიანი სოფელია პტიში. მოსახლეობა დაშორებულია ცენტრიდან. დაბურულ ტყეში მოსახლეს ბუხრებიდან ასული კვამლით ან ძაღლების ყეფით თუ მიაგნებ. მდინარე ჩხალთის მარცხენა სანაპიროს მიჰყვება ვიწრო და საცალფეხო ბილიკი. და აი, ერთხელ, შემოდგომის ბნელ ღამეში ცხენს მიაჩქარებს მარიამი, წინ გზას უკვლევს ახალგაზრდა პტიშელი. მისი მეუღლე მესამე დღეღამეა მშობიარობს. ქალის მდგომარეობა ძალზე სერიოზულია და მარიამიც ჩქარობს, იცის რომ ყოველი წუთი ძვირფასია. უკვე გავლილია 16 კილომეტრი და განთიადისას ადგილზე არიან.

...შუა ზამთარია. თოვლს დაუფარავს მთები და მწვერვალები, თოვლით დახუნძლულა ტყიანი ფერდობები, მთებიდან ჩამომწყდარ ზვავთა გრიალი და ზათქი არემარეს აყრუებს, საცალფეხო გზები ნამქერით გადალესილა, ძნელია გზის გაკვრა ამ ღრმა თოვლში, მაგრამ უფრო ძნელია და შეუძლებელიც მშობიარე ქალის საავადმყოფოში ჩამოყვანა. აძგარა კი ყველაზე შორეული სოფელია და მარიამ გრძელიძე უყოყმანოდ ტოვებს თავის ძუძუმწოვარ ბავშვს და ორი სიცოცხლის გადასარჩენად თოვლიანი ბილიკებით აძგარისაკენ გზას მიუყვება. ამ სახიფათო მგზავრობას ამაოდ არ ჩაუვლია. მარიამის მადლიანმა ხელმა აქაც ბედნიერება მოუტანა ოჯახს.

ასეთი შემთხვევები ხშირია, თითქმის ყოველდღე. მარიამ გრძელიძეს ხან სად ეძახიან და ხან სად.

ვ. კორძაია,

აჭარა.

# სკოლაში გატარებული წლები

ცხინვალის მეოთხე საშუალო სკოლაში ტრადიციადაა დამკვიდრებული ყოველი წლის თებერვალში მოეწყოს აღმზრდელებისა და აღზრდილების შეხვედრა. სტუდენტთა არდადეგების პერიოდში სკოლის კლუბი და დერეფნები ივსება მოსწავლეებით, მოსული სტუმრებით, იმ სტუმრებით, რომლებმაც რამდენიმე წლის წინათ პირველად შეაღეს სკოლის კარები და პირველად იგრძნეს აღმზრდელი მასწავლებლის ალერსი.

და აი, ერთ დღეს ისინი მოვიდნენ დავაჟკაცებულნი, დაქალებულნი, რათა გულში ნადები მადლობა ეთქვათ ამაგდარი მასწავლებლის ქეთევან ცერაძისათვის, რომელსაც დაბადების ორმოცდაათი და პედაგოგიური მოღვაწეობის ოცდაათი წელი შეუსრულდა.

ქეთევან ცერაძე თხუთმეტი წელია დაწყებითი კლასების მეთოდგაერთიანების უცვლელი ხელმძღვანელია. სკოლაში ჩამოყალიბებულია ქეთევან ცერაძის პედაგოგიური გამოცდილების სკოლა. თითოეული მისი გაკვეთილი მეთოდურად სწორი, მიმზიდველი, პატარებისათვის საინტერესო და გასაგებია. იგი ყოველთვის დროულად და შინაარსიანად იყენებს თვალსაჩინოებას, გულმოდგინედ მუშაობს მოსწავლეთა სწორი მეტყველებისა და კალიგრაფიის გამომუშავებისათვის.

ქეთო მასწავლებელს ხშირად ნახავთ თავის აღსაზრდელებთან მოსაუბრეს, ნახავთ გაკვეთილების შემდეგ ცალკეულ მოსწავლეთა მშობლებთან. და ყოველი მისი საუბარი, მისი ნაბიჯი გამიზნულია ერთი ამოცანისაკენ — აღუზარდოს დედასამშობლოს საამაყო თაობა.

მ. გაგლოშვილი,

ცხინვალი.

ლიდია მეგრელიძე

## ვშორდებოდი

მივდიოდი,
ვშორდებოდი,
მამის ეზოს,
მამის სახლკარს,
არსად ჩანდა
დედაჩემი...
ჩამოღვარა
ვარდმა ცრემლი
დედის ნაცვლად.

მამა იდგა სევდიანი,
მიამბობდა
სოფლის ავკარგს,
დავიხარე, ვარდის
ბაგე
გადავკოცნე
დედის ნაცვლად.
და მე ახლაც
სადაც ვნახავ
მაისის ვარდს
ცვარით ნაბანს,
ახლაც ცრემლი
მომაგონებს
სამოცი წლის
წინა ამბავს.



ვენერა ნატროშვილი

## ზამთრის სურათი

ცაში ფიფქები
მოფარფატებს ნელი ტაატით,
ცა, დედამიწა თითქოს ერთდება.
თრთიან იფნები,
ბიჭუნები ხტიან ნავარდით,
ფიჭვები დგანან ჩოხათეთრება.
სოფლის ბუნება
დაფიქრებული თოვლში რინდდება,
გორაკებს თოვლის ფანტელი ფარავთ...
თოვლი თავნება
ტუჩზე მადნება,
მე კი ბოგირთან გული შვლისთვალავ.

სიღნაღი,
სოფელი ვაქირი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ათეისტურ თემაზე

# თავიდან დაწყებული ცხოვრება

ისინი სხვადასხვა ქალაქსა და რაიონში ცხოვრობენ, ერთმანეთს არ იცნობენ, მაგრამ მათი ცხოვრება ძალიან ჰგავს ერთმანეთს. ეს ადამიანები ფანატიკური, კანონით აკრძალული ორმოცდაათიანელთა რელიგიური სექტის წევრები იყვნენ, სისტემატურად ესწრებოდნენ ფარულ შეკრებებს, რაც არა მარტო მორალურ, არამედ ფიზიკურ დაღუპვასაც უქადდა მათ.

ადრე კი სულ სხვანაირი ბავშვობა ჰქონდათ. ახსოვთ სკოლა, პიონერთა შეკრებები, ოცნებები საგმირო საქმეებზე. თბილისელმა ირინა გამყრელიძემ და ტაისა ბელაშოვამ სკოლაში გაიცნეს მართა ციმბალისტი. მართა დაუახლოვდა, დაუმეგობრდა თანატოლებს. მათაც გული გაუღეს, ბავშვური, მაგრამ ნათელი ოცნებები გაანდეს. მართა კი ფანატიკოს ციმბალისტების ოჯახიდან იყო, სწამდა ღმერთი, დავალებული ჰქონდა ახალი წევრები მიეყვანა სექტაში. მართა ხშირად ეუბნებოდა გოგონებს, რომ მათ ოჯახში იკრიბებიან „დები“ და „ძმები“, რომ მათი საუბარი მეტად საინტერესოა.

ირინასა და ტაისას ცხოვრებაში დაუვიწყარი ამბავი მოხდა — ისინი კომკავშირლები გახდნენ. ახსოვთ, როგორი სიძულვილით შეჰყურებდა მაშინ მათ მართა ციმბალისტი... რა იცოდნენ, რომ ეს უფრო მეტი იყო, ვიდრე ბავშვური შურიანობა...

ერთხელ ტაისა და ირინა სრულიად გულუბრყვილოდ წაჰყვნენ მართას შინ. მართამ კი ისინი ორმოცდაათიანელთა ფარულ შეკრებაზე მიიყვანა. შეკრებამ ბავშვური ცნობისმოყვარეობა გააღვიძა, ისინი რამდენჯერმე დაესწრნენ მას. ბნელეთის მოციქულებმა კი დაიწყეს მათი სუფთა სულის შერყვნა.

— თუ დედა და მამა გიყვართ, თუ გინდათ, რომ ისინი კარგად იყვნენ, შესთხოვეთ ღმერთს, იგი შეგისრულებთ თხოვნას.

გოგონები სიცოცხლეს ეტრფოდნენ, სწავლა წყუროდათ, სექტანტები კი მათ წყვდიადისაკენ ეწეოდნენ. მხოლოდ სექტა, მხოლოდ სექტის მოთხოვნათა შესრულება, სხვა დანარჩენი ფუჭია, მოჩვენებაა, დროებითია, აი რას შთააგონებდნენ ბავშვებს.

...გოგონები გულჩათხრობილნი და მიუკარებელნი გახდნენ, აღარ აინტერესებდათ სისუფთავე, კოხტად ჩაცმა. მათში თანდათანობით ინერგებოდა ის აზრი, რომ „ხორცის სიწმიდე არაფერია, მთავარია სულის სიწმიდე“, შეწყვიტეს კინოში, თეატრში სიარული, ჩამოშორდნენ ყველას და ყველაფერს.

სექტანტებმა თავისას მიაღწიეს. ტაისამ სწავლას თავი გაანება. ირინა ტექნიკუმში გადავიდა, მაგრამ სექტა არ მიუტოვებია. სექტანტები ყოველნაირად ცდილობდნენ, რომ ისინი მათ რიგებში დარჩენილიყვნენ. მაგრამ ტექნიკუმში ცნობილი გახდა ირინას საქმიანობა. მას დახმარება, კომკავშირელთა მხარდაჭერა ესაჭიროებოდა, რომ გამოფხიზლებულიყო და თავი დაეღწია სექტანტთა ბრჭყალებისაგან. სამწუხაროდ, სრულიად საწინააღმდეგო მოხდა: გასაჭირში მყოფს ზურგი შეაქციეს, გარიცხეს კომკავშირიდან, ტექნიკუმიდან... მაგიდაზე ბიბლიამ დაიკავა ფიზიკის, ქიმიის, ისტორიისა და ასტრონომიის სახელმძღვანელოების ადგილი. დაიწყო ბიბლიის გაზეპირება.

მალე ირინამ თავის მეგობარ ტაისასთან ერთად თბილისის № 1 ფეხსაცმლის ფაბრიკაში დაიწყო მუშაობა. სწორედ ამ კოლექტივში იპოვნეს მათ მხარდაჭერა. ისინი არ გაუგდიათ ფაბრიკიდან, პირიქით, ხელი გაუწოდეს, დახმარება აღუთქვეს. ირინას და ტაისას ეუცხოვათ კიდეც ასეთი მოპყრობა.

— ჩვენ გვჯერა ირინასი და ტაისასი, მხარს ვუჭერთ მათ კომკავშირში აღდგენას, — ეს სიტყვები, საამქროს კომკავშირის კრებაზე რომ წარმოთქვეს კომკავშირელებმა, დიდი ნდობის გამომხატველი იყო.

ტაისა ბელაშოვამ ამქვეყნიურ ცხოვრებაზე დაიწყო ფიქრი, საკუთარი ოჯახი შექმნა. ირინა გამყრელიძე თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის დაუსწრებელი განყოფილების სტუდენტი გახდა. ცოტა ხანიც და, ირინა თვითონ ააგებს შენობებს, ადამიანთა ბედნიერების კერებს.

...მაყვალა ქოქოშვილისა და მერი მაყაშვილის ცხოვრებაც თითქმის ისევე წარიმართა, როგორც ირინა გამყრელიძისა და ტაისა ბელაშოვასი. განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ ისინი გორში არსებულ ორმოცდაათიანელთა სექტის წევრები იყვნენ, სხვების მსგავსად, სისტემატურად ლოცულობდნენ, მარხულობდნენ, უსიტყვოდ ასრულებდნენ სექტის ხელმძღვანელის ბესა ყურმაევის ნება-სურვილს, მაგრამ სადღაც გულის სიღრმეში ვერ ეგუებოდნენ არსებულ მდგომარეობას. მერი მაყაშვილის დღიური, რომელიც მან სექტაში შესვლის დღიდან შეადგინა, შეიცავს საინტერესო, წინააღმდეგობებით სავსე აზრებს.

„არ ვიცი, ვის დავუჯერო, საკუთარი თავის იდუმალ ხმას, თუ ბესას. იგი მაშინებს: მეორედ მოსვლა იქნებაო, მხოლოდ ჩვენ შეგვიძლიაო გადარჩენა...“

„დღეს ჩემი ძველი ნაცნობი ჩამოვიდა სოფლიდან. მითხრა კინოში წავიდეთო. მე კი რამდენი ხანია არსად არ ვყოფილვარ. არ წავყევი, ავადმყოფობა მოვიმიზეზე. ალბათ, სწორად მოვიქეცი...“

„სექტაში გურამ ელბაქიძის ცოლია გაერთიანებული. გურამმა ეს რომ გაიგო, მოსთხოვა მეუღლეს სექტისათვის თავი დაენებებინა. მან ბესას ჰკითხა. ბესამ კატეგორიული უარი უთხრა, თუ უნდა, თვითონაც მოვიდეს ჩვენთანო. გურამი გასცილდა ცოლს. დაინგრა ოჯახი... რატომ დაჭირდა ყოველივე ეს ღმერთს? ამ კითხვის დასმა ხომ არ შეიძლება, მაპატიე, მეუფეო...“

აი, მერის დღიურის უკანასკნელი ჩანაწერებიც: „დღეს კომბინატში (გორის საფეიქრო კომბინატი) ხალხმა პასუხი მოსთხოვა სექტის ხელმძღვანელებს ბესა ყურმაევსა და გიორგი ჯებისაშვილს. არა, მე არ ვიცოდი, თუ ამოდენა სიბინძურე იყო სექტაში. გიორგი უწმინდესი ადამიანი მეგონა, ის კი ცუდი ყოფაქცევის ყოფილა, ციხეშიც კი მჯდარა ქურდობისათვის. ბესა კი ჩვენს ფულებს ითვისებდა უნამუსოდ... მრცხვენია... მაგრამ ნუთუ არ შეიძლება ცხოვრების თავიდან დაწყება? ჯერ ხომ ახალგაზრდა ვარ, გუშინ კომკავშირის მდივანმა ერთხელ კიდევ მითხრა შემოიარე ჩემთანო. ალბათ, ხვალ მივალ და...“

ქალიშვილები გადარჩნენ და დაიწყეს ცხოვრება თავიდან. ისინი გორის საფეიქრო კომბინატის წარჩინებული მუშები არიან, მილიონობით საბჭოთა ახალგაზრდის მსგავსად ფიქრობენ უმაღლესი განათლების მიღებაზე.

...გაგრელი ნადია ზამორკინა და გუდაუთელი ელენე სტეფანოვა სკოლის დამთავრების შემდეგ გათხოვდნენ. ფიქრობდნენ ბედნიერებაზე, მომავალზე, მაგრამ აღმოჩნდა, რომ მათი ქმრები ფანატიკოსი სექტანტები იყვნენ. მათ სექტაში მეუღლეების ჩათრევაც დაიწყეს.

— „დიდი საქმეა, თუ ზოგჯერ ეკლესიაში წავალ და სანთელს ავუნთებ ღმერთს?“ — ფიქრობდნენ ისინი ქმრების წინადადებაზე.

და აი, ერთ დღეს ისინი ქმრებს წაჰყვნენ...

შემდეგ სექტანტური ნათლობაც გაიარეს. დაიწყო საშინელი ცხოვრება. ქმრები იმასაც კი უკრძალავდნენ, რომ მეზობლებსა და მეგობრებს შეხვედროდნენ. მხოლოდ უნდა ელოცათ, ელოცათ გახელებით, რომ ღმერთს ბედნიერება მოეტანა მათთვის. თუ სექტაში შესვლამდე ნადია და ელენე კოლმეურნეობის აქტიური წევრები იყვნენ და 400-450 შრომადღეს იმუშავებდნენ, სექტაში შესვლის შემდეგ სავალდებულო მინიმუმს — 120 შრომადღესაც ვერ ასრულებდნენ.

ქმრები ამბობდნენ:

— შრომა ადამიანის წუთიერი არსებობისათვის გაღებული ხარკია და მისი პირველი ცოდვისათვის მიზღული სასჯელიო.

ოჯახებს ბავშვები შეეძინათ, ელენეს — ვაჟი, ნადიას — ქალიშვილი. გაუჩნდათ ახალი მიზანი ცხოვრებაში ახალგაზრდა დედებს. მეუღლეებიც ხარობდნენ. მაგრამ მათ თურმე ის ახარებდათ, რომ დაიბადა კიდევ ერთი სექტანტი. ამან კი საბოლოოდ დაარწმუნა ნადია ზამორკინა და ელენე სტეფანოვა, რომ მათი ქმრებისათვის ძვირფასია არა ცოლშვილი, არამედ მხოლოდ სექტა. ამიტომ მოსთხოვეს მათ აერჩიათ ან სექტა ან ოჯახი. ქმრებმა სექტა ამჯობინეს.

ისინი — ნადია და ელენე — სინანულით იგონებენ მათ მიერ ჩადენილ შეცდომას, ცდილობენ უმამობა არ აგრძნობინონ შვილებს, ბედნიერი არიან, რომ თავი დააღწიეს სიბნელეს.

ერთადერთი ბედნიერება ამქვეყნიური ცხოვრებაა, შემოქმედებითი შრომითა და მიღწევებით სავსე ცხოვრება, რომლისთვისაც ღირს თავის დადება, სიცოცხლის გაწირვაც კი — ასეთია მათ მიერ მიგნებული ჭეშმარიტება.

**დ. გეგეშიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გერმანული იუმორი

მხატვარი დ. ბაშელეიშვილი

* * *

ქალბატონი შმიტი სავადმყოფოში წაიყვანეს. ბატონი შმიტი სახლში დარჩა და მოუთმენლად ელოდა ბავშვის დაბადებას. მეორე დღეს შმიტებს ვაჟი შეეძინათ, რომელიც ოთხ კილოგრამს იწონიდა. გახარებულმა მამამ ვარდები იყიდა და საავადმყოფოში გაიქცა.

ნახვის დრომ რომ მოაღწია, ბატონ შმიტს შესაძლებლობა მიეცა თავისი ოჯახის ახალი წევრი ენახა. მედიცინის დამ მამებსა და ნათესავებს ანახა პატარა მოქალაქენი, მაგრამ შმიტმა თავის ვაჟში განსაკუთრებული ვერაფერი შენიშნა. ალბათ ასე მოუვიდა სხვა მამაკაცებსაც; როცა ბატონი შმიტი ცოლთან შევიდა, მან ჰკითხა:

— როგორ მოგეწონა ბიჭი?

ბატონმა შმიტმა თავი დახარა და დარცხვენით უპასუხა:

— მართალი გითხრა, არ მომეწონა; არც ლამაზია და ამასთან რაღაც ნაკლიც აქვს... მაგრამ ცოლისათვის რომ ესიამოვნებინა, დაუმატა:

— მე ვფიქრობ, ყველა ძუძუმწოვარა ასეთია.

სწორედ იმ დროს, როცა ქალბატონი შმიტი საკადრისი პასუხისათვის ემზადებოდა, ოთახში დედამთილი შემოვიდა.

— როგორც იქნა, ვნახე ჩვენი ბიჭი, ზედგამოჭრილი მამაა, — აღტაცებით შესძახა მან და სიყვარულით შეავლო თვალი თავის ვაჟს.

— დიახ, დიახ, სრული სიმართლეა; მეც თქვენი აზრისა ვარ, — მიუგო ქალბატონმა შმიტმა.



* * *

დილით სადარბაზო შესასვლელთან ავეჯით დატვირთული მანქანა გაჩერდა. მობინადრეებმა ფანჯრებთან მიირბინეს. ყველას აინტერესებდა: რა მოიტანეს, როგორ გამოიყურებიან ახალგადმოსულები. მაგრამ მათი ცნობისმოყვარეობა ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, რადგანაც ახალი მეზობლები ვერ დაინახეს.

ნაშუადღევს ეზოში ახალი მობინადრე გამოვიდა და ხმამაღლა ყვირილს მოჰყვა: უდუ-უდუუ! ცოტახნის შესვენების შემდეგ კვლავ დაიყვირა: ჰელმუტ-ჰელმუტტ! ამჯერადაც არავის გაუცია პასუხი. როცა მესამეჯერაც დაიძახა: უვე-უვეე!.. ერთერთმა მცხოვრებმა გამოიხედა და ახალ მეზობელს ჰკითხა:

— როგორ, ვერ იპოვეთ თქვენი ბავშვები?

— იცით რა, — უპასუხა ცოტათი დარცხვენილმა ახალგადმოსულმა, — ჩემმა მეუღლემ პირველი ბავშვი შობა, ისიც ვაჟი და მე მინდოდა შემემოწმებინა, ამ სახელებიდან რომელი უფრო ლამაზად ჟღერს.

* * *

რამდენიმე დღის წინათ ჩემმა მეგობარმა ქალმა ტყავის მშვენიერი საფულე დაკარგა. ფულთან ერთად საფულეში იდო: ქვითარი, რეცეპტი და საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატის ტალონი. დანაკარგი იმ საღამოსვე შენიშნა. მაშინვე შემოირბინა ქუჩები, სასურსათო მაღაზიები, მაგრამ უშედეგოდ.

სამი დღის შემდეგ მან ყუთში იპოვნა წერილი, რომელზეც გამომგზავნის მისამართი არ იყო აღნიშნული. კონვერტში აღმოჩნდა რეცეპტი და ქვითარი, თან პატარა მინაწერიც იყო გაკეთებული.

— ესენი თოვლში ვიპოვნეთ.

რა შესანიშნავია! რა სიმპატიური მპოვნელებია! საფულე და ფული წინასწარ აუღიათ გასამრჯელოდ... პოვნისათვის.



* * *

ერთმა ქალმა პატარა გოგონას ვაშლი მიაწოდა.

— რა უნდა უთხრა დეიდას? — ჰკითხა დედამ. გოგონა დაფიქრდა და უპასუხა:

— მომეცით კიდევ ერთი ვაშლი!

* * *

— ერნსტ, შენ არ უნდა იარო ჰანსთან; ის ძალიან ცუდი ბიჭია.

— კარგი, დედიკო, მაშინ ის ივლის ჩემთან.



* * *

— ემილ, მითხარი როგორ მოვიქცე, მელანი დავლიე...

— ჩაყლაპე საჩქაროდ საშრობი!

* * *

— თუ შენ კარგად დაუკრავ ვიოლინოს, მაშინ ჩემგან ყოველდღე მიიღებ ათ მარკას.

— არა, დეიდა, ჩემი მეზობლები 15 მარკას მაძლევენ ყოველდღიურად, თუ არ დავუკრავ.

* * *

ზაფხულის ერთ ცხელ დღეს გერდამ პატარა ძმა სასეირნოდ გამოიყვანა საბავშვო ეტლით. მაქსმა გააცილა ისინი. ძალიან ცხელოდა და ის ფეხშიშველი იყო.

— ეს როგორ მოხდა, რომ მამაშენი მეწაღეა და შენ კი ფეხსაცმელი არ გაცვია? — ჰკითხა გერდამ.

— მერე რა, მამაშენი კბილის ექიმია, მაგრამ აგერ იმ პატარას ეტლში რომ ზის, კბილები არა აქვს, — მიუგო მაქსმა.

გერმანულიდან თარგმნა **რუსუდან თოიძემ**

# ჩვენი საოჯახო კლუბი

## კარტოფილის შენახვის წესი

კარტოფილს და ბოსტნეულს დიდი მნიშვნელობა აქვს ადამიანის ნორმალური კვებისათვის. ზამთარში და ადრე გაზაფხულზე მოსახლეობისათვის ბოსტნეულის მიწოდებაზე ზრუნავენ სათანადო ორგანიზაციები. მაგრამ ისეთი ბოსტნეულის შენახვა, როგორიც არის: თავიანი კომბოსტო, სუფრის ჭარხალი, სტაფილო, ხახვი, თალგამი, ბოლოკი და სხვ. შეიძლება ოჯახურ პირობებშიც.

არსებობს ბოსტნეულის და კარტოფილის ხანმოკლე და ხანგრძლივი შენახვის წესი. ხანგრძლივი დროის განმავლობაში შესანახავად საჭიროა შესანახი ადგილების კარგად მომზადება, დროულად და წესიერად აღებული ბოსტნეულის და კარტოფილის კადარჩევა, სწორი ჩაწყობა-ჩაყრა, ნორმალური ტემპერატურისა და ჰაერის შეფარდებითი ტენიანობის შექმნა და მისი შენარჩუნება ბოსტნეულის ცალკეული სახეობის მოთხოვნილების მიხედვით. ამასთანავე სისტემატურად უნდა ვადევნოთ თვალყური ბოსტნეულისა და კარტოფილის მდგომარეობას შენახვის მთელი დროის განმავლობაში.

ბოსტნეული და კარტოფილი, როგორც ცოცხალი პროდუქტები, მოსავლის აღების შემდეგაც განაგრძობენ სუნთქვას, გამოიყოფა ნახშირმჟავა გაზი, წყალი და სითბო. კარტოფილი და ბოსტნეული შეიცავს 75-დან 95 პროცენტამდე წყალს, ამიტომ ისინი ადვილად ფუჭდებიან. ყველა ღონისძიება უნდა ვიხმაროთ, რომ მაქსიმალურად შევამციროთ ბოსტნეულის და კარტოფილის სუნთქვა და მათ შემადგენლობაში შემავალი წყლის აორთქლება. ამით მინიმუმამდე შემცირდება ბუნებრივი დანაკლისი და გახანგრძლივდება შენახვის პერიოდი.

შესანახად განკუთვნილი ბოსტნეული და კარტოფილი უნდა იყოს მიწისგან გასუფთავებული, ცოცხალი, თანაბარი ზომის, საღი და დაუზიანებელი.

უნდა გვახსოვდეს, რომ არახელსაყრელ პირობებში ხარისხოვანი ბოსტნეულიც მალე ფუჭდება. ამიტომ უნდა შევქმნათ ისეთი რეჟიმი, რომელიც უზრუნველყოფს პროდუქტის ხარისხის შენარჩუნებას და აგრეთვე შეამცირებს დანაკარგს. უწინარეს ყოვლისა, უნდა დავიცვათ სათანადო ტემპერატურა და მასთან განუყრელად დაკავშირებული ჰაერის შეფარდებითი ტენიანობა.

ბოსტნეულის შესანახად ყველაზე ხელსაყრელი ტემპერატურა პლუს 1-3 გრადუსია, 1 გრადუსი დასაშვები რყევადობით. ჭარხალი, სტაფილო, კომბოსტო, ხახვი და ბოლოკი კარგად ინახება 0-დან 1 გრადუსამდე ტემპერატურაზე. ჭარხლისა და კარტოფილის შენახვისას ჰაერის შეფარდებითი ტენიანობა უნდა იყოს დაახლოებით 80-90 პროცენტი; სტაფილოს, ხახვისა და ბოლოკისათვის — 80-85 პროცენტი.

საცავიდან წყლის ორთქლითა და ნახშირმჟავა გაზით გაჯერებული ჰაერი უნდა მოცილდეს და შეიცვალოს ახალი, სუფთა ჰაერით, რომელიც საჭიროა შენახულ პროდუქტში შენელებული ტემპით მიმდინარე სასიცოცხლო პროცესების ნორმალური მსვლელობისათვის. ჰაერის განახლებას საცავში ვაღწევთ წესიერად მოწყობილი ვენტილაციით, რომელიც შეიძლება კარფანჯრიდანაც განხორციელდეს.

შენახვის პირველ პერიოდში სიძნელე მდგომარეობს იმაში, რომ ახლადაღებული ბოსტნეული დიდი რაოდენობით შეიცავს წყალს, ამიტომ აორთქლებაც მეტია, სუნთქვის პროცესიც ინტენსიურად მიმდინარეობს, გარეთა ჰაერის ტემპერატურა მაღალია. ეს კი იწვევს შესანახად დაწყობილ ბოსტნეულის გროვაში ტემპერატურის მომატებას, ჩახურებას. ასეთ დროს უნდა დავწიოთ ტემპერატურა ვენტილაციის გაძლიერებით. შენახვის შემდეგ პერიოდში შეიძლება ბოსტნეული გაგვეყინოს საცავში ტემპერატურის მინიმალურზე დაბლა დაწევის გამო. ამ დროს უნდა შევზღუდოთ ვენტილაცია, დავათბუნოთ საცავები და შევინარჩუნოთ შენახვისათვის საჭირო ოპტიმალური ტემპერატურა.

ოჯახურ პირობებში კარტოფილი და ბოსტნეული შეიძლება შევინახოთ საკუჭნაოებში, სარდაფებში, ორმოებში, თხრილებში და სხვა.

ბოსტნეულის სხვადასხვა სახე სხვადასხვაგვარად ინახება. ძირხვენები და კარტოფილი შეიძლება შევინახოთ სარდაფებში ყრილის სახით, ხაროებში, თაროებზე, ყუთებში ან კალათებში, სტაფილო — წყობილის სახით სუფთა ქვიშის ნაფენით ან უმისოდ; ძირხვენები და კარტოფილი — გროვებად. ასეთი შენახვა ფართოდ არის გავრცელებული ჩვენში.

კომბოსტო ძირხვენების მსგავსად შეიძლება შევინახოთ გროვებში და ტრანშეებში. კომბოსტოს უფრო ხშირად ინახავენ სარდაფებში თაროებზე. ამ შემთხვევაში კომბოსტოს თავებს 4-5 რიგად აწყობენ ქვემო ნაწილით მაღლა, თაროებს შორის დაწყობილი თავების ზემო რიგებს შორის 20-25 სანტიმეტრი მანძილი უნდა დავტოვოთ. ზოგჯერ კომბოსტოს ღრეჩოიან ყუთებშიც ინახავენ. ამ შემთხვევაში ყუთებს შტაბელების სახით აწყობენ რამდენიმე მწკრივად.

ხახვის ხანგრძლივად შენახვისათვის საჭიროა კარგად გამომშრალი, მომწიფებული, მშრალქერქლიანი ერთგვარი ბოლქვების არჩევა. სარდაფებში ხახვი შეიძლება შევინახოთ ყუთებში, კალათებში, იატაკზე და თაროებზე. ყუთებსა და კალათებში შენახვისას მოცულობა 20-30 კილოგრამს არ უნდა აღემატებოდეს. ყრილის სახით ხახვის შენახვისას იატაკზე წინასწარ ქვეშ უდებენ ხის ლარტყებისაგან მესრისებურად შეკრულ რიკულს 1,0-1,5 სანტიმეტრი სიგანის ღრეჩოებით. ასეთი რიკული იატაკიდან 8-10 სმ სიმაღლეზე იდგმება, კარგი აერაციის მიზნით. ხახვს ამ შემთხვევაში ყრიან გროვებად. ხახვი თაროებზე ყრილის სახითაც კარგად ინახება.

შენახვის დროს თუ საჭირო რეჟიმს შევქმნით და ყველა ზემოთჩამოთვლილ ღონისძიებას განვახორციელებთ, გაუთვალისწინებელი დანაკლისი არ გვექნება და ოჯახურ პირობებშიც უზრუნველვყოფთ ბოსტნეულისა და კარტოფილის ხანგრძლივად და კარგად შენახვას.

**გ. კვაჭაძე,**
სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი.

# როგორ მოვუაროთ მშრალ კანს

სახის კანის სიმშრალეს მრავალი მიზეზი იწვევს: შინაგანი სეკრეციის ჯირკვლების დაავადება, კერძოდ, ფარისებრი ჯირკვლების ფუნქციის მოშლა, ნერვული სისტემის აშლილობა; ხანგრძლივად ღია ჰაერზე მუშაობა (ქარი, მზე, წვიმა); კანის არასწორი მოვლა და სხვა. ყოველივე ამის შედეგია ის, რომ ცხიმოვანი ჯირკვლების სეკრეციული ფუნქცია ქვეითდება და კანს ცხიმის ნორმალური რაოდენობა აკლდება, აკლდება აგრეთვე ელასტიურობა და მიდრეკილია ნაადრევი დანაოჭებისკენ. ხშირად კანი მშრალია ლოყებზე, საფეთქლებზე, მაგრამ ამავე დროს შუბლის, ცხვირის და ნიკაპის მიდამოში ბზინავს, ე. ი. ცხიმოვანია. ასეთ კანს კომბინირებულს უწოდებენ. ამ შემთხვევაში სახის ცხიმოვანი ნაწილი მოითხოვს თავისებურ მოვლას, მშრალი—განსხვავებულს. თუ კანის სიმშრალე ნაკლებადაა გამოხატული, არ შეინიშნება აქერცვლა და შენარჩუნებულია ელასტიურობა, მას მაინც აქვს თავისი უარყოფითი მხარე. ამიტომ საჭიროა მისი სისტემატური მოვლა, გასუფთავება, დარბილება, კვება( მკვებავი დამარბილებელი კრემებით) და გარეშე გამაღიზიანებელი ფაქტორებისაგან დაცვა.

დილით სახე უნდა დაიბანოთ ონკანის ცივი ან ადუღებული გაციებული წყლით, საღამოს გაიწმინდოთ ლუსიონით, რომელიც თქვენ თვითონ შეგიძლიათ დაამზადოთ:

1 ჩაის ჭიქა ნაღები,

1-2 სუფრის კოვზი არაყი,

1 კვერცხის გული (შეგიძლიათ დაუმატოთ 1/2 ან 1 ლიმონის წვენი).

მშრალი კანი ზოგჯერ ქერცლით იფარება, თითქოს ფქვილი მოუყრიათ. მასზე წარმოიქმნება წითელი ლაქები, რომლებიც განსაკუთრებით ჩანს დაბანვის შემდეგ. მისთვის დამახასიათებელია აგრეთვე წვისა და დაჭიმულობის შეგრძნება. ცუდად იტანს წყალს. ამიტომ, გასუფთავების მიზნით, ყოველთვის იხმარეთ თხიერი კრემები: „ბარხატნი“, „ლანოლინოვოე მოლოკო“, „უტრო“. შეგიძლიათ იხმაროთ ზეთიც: ატმის, ნუშის, ზეთისხილის, ბამბის და სხვა. ზეთი გაათბეთ, დაასველეთ მასში ბამბის ტამპონი და გაიწმინდეთ სახე. ამის შემდეგ სახის კანი გაიწმინდეთ მშრალი ბამბის ტამპონით. მერე წაისვით რომელიმე დამარბილებელი კრემი. ასეთ კრემებს ეკუთვნის: ჰორმონალურ-ვიტამინური, „ლილია“, „მინდალნი“, „ბარხატნი“, „სპერმაცეტოვი“, „პიტატელნი“, „იანტარი“, „დეტსკი“, „ატლასნი ვიტამინი „ა“-თი. კრემი სახეზე უნდა წაისვათ ფრთხილად, თითის წვერების მსუბუქი დარტყმით. ძლიერად, ძალდატანებით კრემის წასმა სახეზე არ შეიძლება, ვინაიდან ეს ხელს შეუწყობს ნაოჭების გაჩენას. რაც შეეხება ცხვირის და ნიკაპის კანს, რომელიც ხშირად ფორიანი და ცხიმოვანია, მიდრეკილია ფერისმჭამელებისა და შავი საცობების გაჩენისადმი, ამ ადგილებზე არაა რეკომენდებული კრემის ხმარება.

საერთო აბაზანის მიღების დროს, კვირაში ერთხელ იხმარეთ საპონი: „დეტსკოე“, „კოსმეტიჩესკოე“, „ბარხატისტოე“. დაბანვის წინ სახეზე წაისვით მკვებავი, ბოლოს—საპონი და სახის ბანა დაამთავრეთ ცივი წყლის შესხურებით. მერე ოდნავ შეიმშრალეთ ისე, რომ სახე ნამიანი გქონდეთ და ბამბის ტამპონით წაისვით რომელიმე მკვებავი კრემი: „ვოსტორგი“, „ატლასნი“, „იანტარი“, „ნივეია“ და სხვა. კრემი სახეზე გაიჩერეთ 1-$1^1/_2$ საათის განმავლობაში. კანს შეუძლია შეიწოვოს კრემის განსაზღვრული რაოდენობა. ნარჩენი კრემი ფრთხილად მოიშორეთ ქაღალდის ხელსახოცით. წინააღმდეგ შემთხვევაში ის გამოიწვევს სახის კანის შეშუპებას.

ქუჩაში გასვლის წინ იხმარეთ დღის კრემები: „სნეჟინკა“, „იდეალი“ და სურვილის მიხედვით—პუდრი: „ფლორა“, „კრასნი მაკ“, „ბალეტი“ და სხვა. პუდრი კანს იცავს მზის სხივების, ქარის, ყინვისა და სხვა მავნე მოქმედებისაგან.

მშრალ კანზე არ შეიძლება ვაზელინის ან გლიცერინის წასმა. ვაზელინი იწვევს ყვითელი ლაქების გაჩენას, გლიცერინი კი კანს ალის წყალს და უფრო მეტად აშრობს.

სისტემატური მოვლის შემდეგ მშრალი კანი შეიძლება გახდეს რბილი, გაქრეს წვის და დაჭიმულობის შეგრძნება. ამის შემდეგ შეგიძლიათ სახე იბანოთ ოთახის ტემპერატურის რბილი წყლით ან პიტნისა და გვირილის ნაყენით.

გარდა ყოველდღიური მოვლისა, რეკომენდებულია კვირაში ორ-სამჯერ ნიღბების ხმარება. ნიღაბი აუმჯობესებს სახის კანის სისხლის მიმოქცევას და კვებავს კუნთებს. ეს მაღლა სწევს კანის ტონუსს და მისი ხმარების შემდეგ კანი ხდება რბილი და ელასტიური.

მკვებავ ნიღბებს ეკუთვნის: კვერცხის გულის და თაფლის; საფუარდამატებული რომელიმე ზეთის (ატმის, ნუშის და სხვა); ხილ-ბოსტნეულის, სტაფილოს წვენის, ხაჭო-არაჟნის, მოხარშული კარტოფილის და ა. შ.

სახის კანის ჩვეულებრივი გასუფთავების შემდეგ ნიღაბს დაიდებთ სახეზე და გააჩერებთ 20-25 წუთს. შემდეგ მოიბანთ ნელთბილი წყლით და წაისვამთ მკვებავ კრემს. მშრალი კანის მქონემ უნდა მიიღოს ვიტამინი „ა“ წვეთებში და ამ ვიტამინით მდიდარი საკვები: ღვიძლი, კვერცხის გული, თევზის ქონი, კარაქი, პამიდორი.

მშრალი, მოდუნებული კანისთვის კარგია ცხელი და ცივი საფენები. ცხელ საფენს კანზე ვაჩერებთ იქამდე, სანამ ის სასიამოვნოა. ცხელი საფენის შემდეგ სახეზე შეისხურეთ ცივი წყალი ან გაიკეთეთ ცივი საფენი, ანდა ხილ-ბოსტნეულის ნიღაბი (ხილ-ბოსტნეული გახეხეთ. მიღებული მასა წაუსვით დოლბანდს და სახეზე დაიდეთ. კანზე წინასწარ წასმულია რომელიმე მკვებავი კრემი. გააჩერეთ 10-15 წუთს და მოიბანეთ). რეკომენდებულია აგრეთვე ვიტამინიზებული კრემი ალოეთი — იხმარება ყველა ასაკში;

მშრალ კანს უხდება მასაჟი (სათანადო კოსმეტიკურ დაწესებულებაში).

ყველა ზემოთჩამოთვლილი პირობის შესრულებით თავს დავიზღვევთ ნაადრევი ნაოჭების გაჩენისა და კანის მოდუნებისაგან.

**მიმი ლოლოგერიძე,**
ექიმი-კოსმეტოლოგი.

# ოდეკოლონი

ოდეკოლონი ფრანგული სიტყვაა და ნიშნავს ქალაქ კელნის წყალს. მისი გამომგონებელი იტალიელი ვაჭარი ჯიოვანი მარია ფარინაა. ის დაიბადა 1685 წელს პატარა სოფელ სანტა მარია მაჯიორეში. 20 წლის ფარინა ბედის საძიებლად უცხო მხარეში მიემგზავრება. საბოლოოდ ქალაქ კელნში სახლდება და ვაჭრობას იწყებს საპნითა და სუნამოთი. 1709 წელს ფარინამ მიიღო სუნამოს ახალი შემადგენლობა და მას თავისი მეორე სამშობლოს, კელნის სახელი უწოდა. ამიტომ ცნობილი საპარფიუმერიო სითხის—ოდეკოლონის სამშობლოდ საფრანგეთი ითვლება. ოდეკოლონი მე-18 საუკუნის დასაწყისში მიიღეს და დღესაც ამ სახელს ატარებს.

ოდეკოლონის გავრცელებას ხელი შეუწყო შვიდწლიანმა ომმა (1756-63 წწ): როცა საფრანგეთის ჯარი რეინის ოლქზე გადადიოდა, გაეცნო ოდეკოლონს და სხვა მხარეშიც გაავრცელა იგი.

ფარინა თავისი გამოგონების ხერხს საიდუმლოდ ინახავდა. 1766 წელს ის 80 წლის ასაკში

გარდაიცვალა. ოდეკოლონის მიღების წესი წერილობით უანდერძა ძმისწულს, რომელიც ასევე საიდუმლოდ ინახავდა მას.

ოდეკოლონის მიღებიდან ზუსტად ორი საუკუნე გავიდა. ქიმიური მრეწველობა სწრაფი ნაბიჯით წავიდა წინ. მას არ დასჭირდა ქალაქ კელნში იულიხის მოედანზე პატარა სავაჭრო დუქანში ჩაკეტილი ფარინას საიდუმლო რეცეპტის ქექვა. ახლა სურნელოვან სითხეთა ხარისხი კიდევ უფრო დაიხვეწა და მრავალფეროვანი გახდა, მაგრამ მას სახელი არ შეუცვალეს, დატოვეს იმ ტერმინით, როგორც ის მისმა პიონერმა „მონათლა“ ქიმიური მრეწველობა საბჭოთა კავშირში მაღალ საფეხურზეა ასული. ახლა ჩვენი ქვეყნის მრეწველობა უშვებს 80-ზე მეტი სახელწოდების ოდეკოლონსა და სუნამოს.

ოდეკოლონის შემადგენლობაში ნაკლები რაოდენობითაა სურნელოვანი ნივთიერება, ვიდრე სუნამოში. ამიტომ მისი სურნელების ძალა და გამძლეობა უფრო ნაკლებია (სუნამო სურნელებას ინარჩუნებს 30-40 საათს). ოდეკოლონს ხმარობენ როგორც ქალები, ასევე მამაკაცები, მაგრამ მისი დიდი რაოდენობით მოპკურება მიზანშეწონილი არ არის.

ს. ედიბარი

# კულინარია

### ვაშლის ნამცხვარი დაკეპილი ცომით

1 მთლიანი კვერცხისა და 1 გათლილი ჭიქა შაქრისაგან გააკეთეთ გოგლი-მოგლი, უყავით 100 გრ გამდნარი კარაქი, ძმარში ან 1 კოვზ მაწონში გახსნილი სოდა და ცოტა ვანილი. შემდეგ დააყარეთ ფქვილი და დანით აკეპეთ ისე, რომ ცომი ქადის გულივით ხოშხოშა გამოვიდეს.

700 გრ ვაშლი გახეხეთ და გემოვნებით უყავით შაქარი.

ცხიმწასმულ ჩუდოში (ან ფორმაში) ჩაყარეთ ცომის ნახევარი. შემდეგ ზევიდან მოაფინეთ გახეხილი ვაშლის ნახევარი, ისევ ჩააყარეთ ცომი (დარჩენილის ნახევარზე მეტი) და ისევ მოაფინეთ ვაშლის ფენა. სულ ზევიდან ისევ მოაყარეთ ცოტაოდენი ცომი და შედგით ღუმელში გამოსაცხობად.

### ნაპოლეონი

1 ჭიქა წყალში აურიეთ: 1 კვერცხი მთლიანად, ცოტა სოდა და ცოტა მარილი. მიუმატეთ იმდენი ფქვილი, რომ სქელი, მკვრივი ცომი მოიზილოს. ცომი გააბრტყელეთ. 300 გრ კარაქი თხლად დაანაკუწეთ და გაბრტყელებულ ცომს მოაყარეთ, თან ხელით დააჭყლიტეთ, შემდეგ ორჯერ გადაკეცეთ და გააბრტყელეთ, ისევ გადაკეცეთ და გააბრტყელეთ სამჯერ. მერე ცომი ორად გაჭერით და 20 წუთით მაცივარში შედგით, ან სიცივეში გაიტანეთ. შემდეგ მაცივრიდან ერთერთი ნახევარი გამოიღეთ, გააბრტყელეთ, დაკეცეთ, კიდევ გაჭერით შუაში და მაცივარში დააბრუნეთ 20 წუთით.

ასევე დაამუშავეთ მაცივრიდან გამოღებული ცომის მეორე ნახევარი, ესეც გაჭერით შუაში და გასაციებლად შედგით.

20 წუთის შემდეგ გამოიღეთ მაცივრიდან ერთი ცომი, გააბრტყელეთ, დადეთ ფქვილმოყრილ თუნუქის ფურცელზე და გაზქურაში გამოაცხვეთ. ასევე გამოაცხვეთ დარჩენილი 3 ცომის ფირფიტა.

**კრემის მომზადება:** 1 ლიტრი რძე აადუღეთ. გააკეთეთ გოგლი-მოგლი 3 მთლიანი კვერცხისა და $1^3/_4$ ჩაის ჭიქა შაქრისაგან. შიგ აურიეთ 4 სავსე სუფრის კოვზი ფქვილი და ნელ-ნელა ჩაასხით ცეცხლიდან გადმოდგმულ მდუღარე რძეში, თან განუწყვეტლივ ურიეთ. ასეთივე მორევით წამოადუღეთ. 1-2 წუთის შემდეგ გადმოდგით ცეცხლიდან, შეაგრილეთ და უყავით ვანილი. გაციებულ კრემს შეაზილეთ კარგად გათქვეფილი (გათეთრებამდე) 100 გრ კარაქი.

გამომცხვარი ფირფიტები ერთმანეთზე დააწყვეთ და დანით ჩამოჭერით ნაპირები, რომ ერთი ზომის გამოვიდეს. ეს ჩამონაჭრები დაფშვენით. შემდეგ ერთ ფირფიტას წაუსვით კრემი, დაადეთ ზევიდან მეორე, ამასაც წაუსვით კრემი, დაადეთ მე-



სამე — შემდეგ ისევ კრემი. ბოლო ფირფიტაც დაფარეთ კრემით და ზევიდან მოაყარეთ დაფხვნილი ფირფიტები.

### ხორცის ღვეზელა

200 გრ კარაქი გაადნეთ, ცხელს სათითაოდ შეათქვიფეთ 3 მთლიანი კვერცხი, შემდეგ — 2 ჭიქა მაწონი, უყავით ცოტა მარილი და 1 ჩაის კოვზი შაქარი, მოურიეთ, კოვზით შეაზილეთ ფქვილი. თხელი ცომი გადმოიღეთ ფიცარზე დაყრილ ფქვილზე. გააბრტყელეთ ერთხელ, მოაყარეთ 1/2 ჩაის კოვზი სოდა, გადაკეცეთ და ისევ მოაყარეთ 1/2 ჩაის კოვზი სოდა, შემდეგ ისევ გადაკეცეთ და ისევ ამდენივე სოდა მოაყარეთ.

1 კგ მოხარშული ხორცი გაატარეთ ხორცსაკეპ მანქანაში. ხახვი წვრილად დაკეპეთ და კარაქში მოხრაკეთ. შეურიეთ შიგ დაკეპილი ხორცი, წვრილად დაჭრილი მაგრად მოხარშული 2 კვერცხი და ცოტა ოხრახუში. ტაფაზევე შეკმაზეთ შავი პილპილით და მარილით.

ცომი ორად გაყავით. გაზქურიდან გამოიღეთ თუნუქის ფურცელი (ცივი), მოაბნიეთ ფქვილი, გააბრტყელეთ ზედ ერთი ნაწილი, დაადეთ ხორცის ფარში, ზევიდან დააფინეთ ცომის მეორე ნაწილიც და გვერდები შემოუკეცეთ, დაბოლოს, ზედაპირზე მოუსვით წყალში ან ცოტა მაწონში გახსნილი 1 კვერცხის გული და შედგით გამოსაცხობად.

### ხაჭოიანი ტკბილი ღვეზელა

1 ჭიქა მაწონში ჩაახალეთ ერთი მთლიანი კვერცხი, მიუმატეთ 100 გრ კარაქი, 1/2 ჩაის კოვზი სოდა, სულ ცოტა მარილი და 1/2 ჭიქა შაქარი, უყავით ფქვილი იმდენი, რომ ძალიან ფაფუკი, ნაზი ცომი გამოვიდეს.

ნახევარ კილოგრამ ხაჭოს მიუმატეთ 3/4 ჩაის ჭიქა შაქარი, 1 კვერცხი და 1 მუჭა გარეცხილი ქიშმიში.

ცომი 6-7 ნაწილად დაჭყავით, თითო გუნდა მოგრძოდ გააბრტყელეთ, ზედ მოათავსეთ შემზადებული ხაჭო და ცომის ნაპირები შეაერთეთ ისე, რომ ნამცხვარმა ნავის ფორმა მიიღოს (შუა ადგილას ცომის ნაპირებს ნუ შეაწებებთ ერთმანეთს, რომ გამოცხობისას ლამაზად გადაიშალოს). შემდეგ გაზქურაში ან ჩუდოში გამოაცხვეთ.

### „დღე და ღამე“

3 მთლიანი კვერცხი ათქვიფეთ 2 ჩაის ჭიქა შაქრის ფხვნილში, მიუმატეთ 100-150 გრ კარაქი, 2 ჭიქა მაწონი, 1 ჩაის კოვზი სოდა, გახსნილი მაწონში ან ძმარში და ცოტა ვანილი. შემდეგ მიუმატეთ ფქვილი, იმდენი, რომ ოლადის ცომზე ოდნავ სქელი გამოვიდეს. მერე ცომი გაყავით შუაზე. ერთ ნახევარში გალესეთ 2 სუფრის კოვზი კაკაო.

ცხიმწასმულ, ქაღალდჩაფენილ ფორმაში ჯერ თეთრი ცომი ჩაასხით, შემდეგ — კაკაოიანი. როცა გამოცხვება, ბისკვიტს ზევიდან თხლად მოაყარეთ შაქრის პუდრი. შეაგრილეთ და ამოიღეთ ფორმიდან.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა



### მოდის გულისათვის

ტოკიოს ათობით კოსმეტიკურ სამკურნალოში ტევა არ არის. იაპონიის პლასტიკური ქირურგიის საუკეთესო კლინიკაში კი ყოველდღიურად დაახლოებით 300 პაციენტს ღებულობენ და კვირაში 50 პლასტიკურ ოპერაციას აკეთებენ. მეტწილად იაპონელ ქალებს სურთ თვალის ჭრილის შეცვლა. ეს ოპერაცია ძალიან ადვილია და მხოლოდ რამდენიმე წუთი გრძელდება, ქუთუთოს ქვეშ მოთავსებული კუნთი გარკვეული ხერხით იჭიმება, რის შედეგადაც თვალები დიდდება და სახე იღებს ევროპულ იერს. ბევრი იაპონელი ქალი იკეთებს აგრეთვე ცხვირისა და ტუჩების ოპერაციას, თუმცა ეს გაცილებით რთულია და უფრო ძვირიც ჯდება. ყველა პლასტიკურ ოპერაციას წინ უძღვის მთელი რიგი ცდები, გამოკვლევები, კონსულტაციები — მართლაც „ახალი“ თვალები ან ახალი ცხვირი ხომ უნდა უხდებოდეს მთელ სახეს, იყოს ბუნებრივი.

რას არ აკეთებენ ქალები სილამაზისა და მოდის გამო.

„კობეტა ი ჟიცე“

### ...ყოველ შემთხვევისთვის

ბეირუთში (ლივანი) ერთ საქველმოქმედო მეჯლისზე სტუმრების საერთო გაოცება გამოიწვია ხუთმა ახალგაზრდა ქალმა, რომელთაც სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილი ავტომატიანი გამყოლები ახლდათ. ეს მაღალი წრის ქალები ატარებენ ზღაპრული ღირებულების სამკაულებს: სამკაულების ფასი სამ მილიარდს აღემატება. მთავრობამ საჭიროდ ჩასთვალა მათთვის შეიარაღებული დაცვა დაენიშნა.

ლონდონში გაჩნდნენ ექსტრავაგანტური მოდის მიმდევარი ქალები. ერთერთი მათგანი გახლავთ 21 წლის ჟ. ლიუმბი, რომელიც ფეხშიშველი დაბრძანდება ქალაქის ქუჩებსა და ფეშენებელურ რესტორნებშიც კი. მოახლოვებული სიცივის გამო ამ მოდას დიდი დღე აღარ უწერიაო, ვარაუდობენ ლონდონელები.

### იოლოკსის ტრაგედია

კლდეებს შორის ვიწრო, შეუმჩნეველი მთის ბილიკი მიიკლაკნება. უკანასკნელი მოსახვევიც და მექსიკის ამ ძნელად მისადგომი ზევანის რაიონში შემთხვევით მოხვედრილი მგზავრების თვალწინ მომცრო პლატო იშლება, რომელზეც პატარა სოფელია შეყუჟული.

აგერ ამ სოფლის მცხოვრებლებიც, მაგრამ ეს რაღაა? დიდი და პატარა ყველა უსინათლოა. რამდენიმე წამში ყველაფერი ირკვევა. თურმე ბილიკს მოგზაურები იოლოკსში — უსინათლოთა სოფელში მოუყვანია.

სულ რამდენიმე ხანი გავიდა მას შემდეგ, რაც იოლოკსამდე პირველმა სამეცნიერო ექსპედიციამ მიაღწია, რომელმაც დაადგინა, რომ იოლოკსის ტრაგედიის მიზეზია ახლომახლო ჭაობების ბინადარი პაწაწინა ბუზი. ბუზს კბენისას სისხლში შეაქვს სიბრმავის გამომწვევი ვირუსი. დაახლოებით სამი თვის შემდეგ ბავშვს თავზე უჩნდება სიმსივნე. საკმარისია ეს სიმსივნე უახლოეს ხუთ-ექვს თვეში ამოიკვეთოს, და ბავშვიც იკურნება. წინააღმდეგ შემთხვევაში კი იწყება მხედველობის შესუსტება, რაც რამდენიმე წელიწადში სრული დაბრმავებით მთავრდება.

მიუხედავად იმისა, რომ დროული სამედიცინო დახმარების მეოხებით შეიძლება ამ უბედურების თავიდან აცილება, გაჭირვებისაგან დაბეჩავებულ, ბნელ იოლოკსელებს ეს საზარელი სენი „ღვთის ნებად“ მიაჩნიათ და, მის უძლეველობაში დარწმუნებულნი, წინასწარ ამზადებენ ბავშვებს მათი საშინელი ხვედრისათვის. შეუსრულდება თუ არა ბავშვს ხუთი-ექვსი წელი, მას თვალებს უხვევენ ჯერ 10-15 წუთით, შემდეგ სულ უფრო და უფრო ხანგრძლივად და როცა ბავშვი სინამდვილეში ბრმავდება, მას უკვე იმდენად აქვს გახვითარებული სხვა გრძნობის ორგანოები, რომ დაბადებით უსინათლოსავით ადვილად ერკვევა გარემოში.

### არაჩვეულებრივი ნაპოვნი

ქალაქ ტურში, რომელიც ინდოეთის შტატ ასამის აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობს, სამშენებლო სამუშაოების დროს აღმოაჩინეს უჩვეულო ზომის ადამიანის ჩონჩხი, მისი სიგრძე 3 მეტრია. ჩონჩხი ქვის სარეცელზე ესვენა და გვერდით ხის ნახშირი ეწყო.

### 60 წელი უძილოდ

კუბური გაზეთი „ნოტიასის დე ოი“ იტყობინება, რომ ესპანელ გლეხს ვისენტე მედინას თავისი 64 წლის ასაკში მხოლოდ პირველ 4 წლის განმავლობაში ეძინა, რადგან ოთხი წლიდან მას ძილი დაეკარგა. ექიმებმა, რომლებიც მთელი სიცოცხლის განმავლობაში მკურნალობდნენ ვისენტეს ყველა ცნობილი საძილე საშუალებით, ვერ განკურნეს იგი უძილობისაგან. მიუხედავად ამისა, ისინი ამტკიცებენ, რომ ვისენტე მედინამ შეიძლება ას წლამდე იცოცხლოს.

* * *

ამას წინათ საავტომობილო კატასტროფაში დაიღუპა მაოფლიოში ერთერთი ყველაზე სქელი ადამიანი. ეს იყო ბრიუსელის მცხოვრები ო. ხასტერი, რომელიც 228 კილოგრამს იწონიდა.

### რამდენი ომი იყო

უკანასკნელ 5500 წლის განმავლობაში კაცობრიობამ გადაიტანა 14513 ომი, რომლებშიც 5640 მილიონი ადამიანი დაიღუპა.

შვეიცარიელმა ჟან ჟაკ ბაბელმა ელექტრონული ტვინის საშუალებით გამოითვალა ომების რაოდენობა და შეაფასა ამ ომებით გამოწვეული ზარალი. მან განაცხადა, რომ ომების დროს განადგურდა 500 მილიარდი შვეიცარული ფრანკის ღირებულების სხვა და სხვა ძვირფასეული. ოქროდ ქცეული ეს თანხა დედამიწას რომ ეკვატორზე შემოეკრას, მივიღებთ ათი მეტრის სისქისა და 8 კილომეტრი სიგანის სარტყელს.

გარეკანის მეოთხე გვერდზე — ბაკურიანში. მხატვარი რ. თორდია.


| | | |
|---|---|---|
| რედაქტორი<br>თეო აბაშმაძე | სარედ. კოლეგია: მ. ბარათაშვილი, ნ. გურგენიძე, მ. კალანდაძე (პ. მგ. მდივანი), ზ. კვაჭაძე, თ. ლაშქარაშვილი, ვ. სირაძე, ქ. სიხარულიძე, ნ. შალუტაშვილი. ლ. შენგელია (მხატ. რედაქტორი), ნ. ჯავახიშვილი. | საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა |

ტექრედაქტორი ქ. დემუროვა

რედაქციის მისამართი — სულხან-საბას ქ. № 15. ტელ. 9-98-71. ფიზ. ფორმ. რაოდ. 1,75. პირობით ფორ. რაოდ. 5,3.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 23/I-65 წ. ქაღალდის ზომა 60×92. ტირაჟი 60.000 შეკვ. 3507. უე 02841. ფასი 30 კაპ.

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა № 1, ლენინის ქ № 14.

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და მხატვრულ-ლიტერატურული ჟურნალი „საქართველოს ქალი“.

Ежемесячный общественно-политический и художественно-литературный журнал «Сакартвелос кали».

Издательство ЦК КП Грузии.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რძალი და დედამთილი

ერთ სოფელში ქვრივი დედაკაცი ცხოვრობდა. იგი სიყმაწვილეში დაქვრივდა და ერთადერთ ნუგეშად პატარა ბიჭუნა დარჩა. საცოდავმა ქალმა თავი გადასდო და რის ვაი-ვაგლახით გამოზარდა პირმშო. კაი ვაჟკაციც დადგა: ჯანმაგარი, შრომისმოყვარე და პატიოსანი. საქორწინოდ შეღერებულს სიძედ ვერავინ დაიწუნებდა, დედასაც ეჩქარებოდა ოჯახი ფეხზე დაეყენებინა და მკერდზე შვილიშვილი მიეკრა. საპატარძლოც გამოინახა, მდიდარი ოჯახის ქალიშვილი. ზეიმით შეიყვანეს ახალ ოჯახში, მაგრამ დახეთ უსამართლობას: პატარძალმა მოსვლისთანავე შეიძულა ამაგდარი დედამთილი და ამრეზილად დაუწყო ცქერა. ხშირად კი იმას ებურტყუნებოდა: რა გაგიკეთებია შენს სიცოცხლეში, რა დამახვედრეო. რამეს ხელს მოკიდებდა გასაკეთებლად და — დაუტატანებდა — შენ, არაფერი გაგეგება, ხელი უშვიო; არ გააკეთებდა და ქოქოლას აყრიდა: დაჯექი, დაჯექი გულზე ხელებდაკრეფილი, შენმა მზემ, მე გაჭმევო. რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი იმ დროს ხდებოდა, როცა მოხუცის ვაჟიშვილი არ იყო სახლში, მინდვრად იყო წასული სამუშაოდ. დედა კი მას არასდროს არაფერს არ შესჩივლებდა და არც აგრძნობინებდა. ამან რძალი უფრო გაათამამა და დედამთილი მთლად გატეხა.

ლოგინადჩავარდნილ და დაბრმავებულ მოხუცს რძალი ძველებურად ,,სცემდა პატივს‘‘, ხოლო შვილიშვილები ახლოს არ ეკარებოდნენ ზებიას, საღამოთი კი შრომით დაღლილ-დაქანცული შვილი თუ მიუჯდებოდა დედის საწოლს და ორიოდე სიტყვას ეტყოდა. ერთხელ ვაჟიშვილმა შენიშნა, რომ დედას საწოლთან მიდგმულ სკამზე მარტო პურის კუტი ედო და ხელადით წყალი ედგა, ცოლს გასძახა: — ხვალ დედაჩემს ქათამი დაუკალი და აჭამეო. ცოლი რა თქმა უნდა დაეთანხმა, მაგრამ მეორე დღეს ქათამი რომ ვერ გაიმეტა, კატა დაკლა, მოუხარშა და მოხუცს მიუტანა. მან რამოდენიმე ნაჭერი შეჭამა და თანაც რძალს ხელები დაუკოცნა პატივისცემისათვის, შვილს კი ამბავი დაახვედრა — შენმა ცოლმა ასეთი პატივი მცაო.

გავიდა წლები. მოხუცი დიდიხანია დაივიწყეს. რძალმა დაზარდა შვილები, ქალიშვილი გაათხოვა, ვაჟიც დააქორწინა, მაგრამ ჰოი, საკვირველებავ! მას შესანიშნავი რძალი შეხვდა: თვინიერი, ზრდილი და თავაზიანი, დედამთილს თვალებში შესციცინებდა, მის წინ ნაბიჯს არ გადადგამდა, უფროსობაც კვლავ დედას რჩებოდა. ღმერთს მადლობას სწირავდა ბედნიერი ცხოვრებისათვის. ერთ დღეს კი ისიც ავად გახდა და ლოგინს მიეკრა. შვილები თავს ევლებოდნენ, ცივ ნიავს არ აკარებდნენ, რძალიც თავს დასტრიალებდა და სუფთა, გაქათქათებულ ლოგინში მწოლიარეს, ნაირ-ნაირი კერძები მოსდიოდა. ერთ დღეს მოხუცმა ცოტა მოიხედა, თავს უკეთესად გრძნობდა და ლოგინში წამოჯდა, სადილს ლოდინი დაუწყო. რძლის ფეხის ხმაც მოისმა: ლანგარით ხელში საჭმელი შემოჰქონდა. ლანგარზე სხვა კერძებთან ერთად ცივად მოხარშული დედალი იდო. მოხუცმა დახედა რა დედალს, ხელის გულები გაშალა, სახესთან ახლოს მიიტანა და ცივი ხმით იკივლა:— რას მიპირებ, რას! ეგ რა გიქნია, კატა დაგიკლავს და გინდა მაჭამო?! არ შევჭამ, არა! მეზობლები შემოცვივდნენ კივილზე,იქ მყოფებიც დაესივნენ, მაგრამ მაინც ვერ დაამშვიდეს, პირში ლუკმა არ ჩაიდო, რამდენი არ უმკურნალეს, მაგრამ მის წინ მიტანილი საჭმელი, ვისაც არ უნდა მიერთმია, მაინც პურის კუტად და მოხარშულ კატის ხორცად ეჩვენებოდა და არავინ არ იცოდა რაში იყო საქმე.



მხატვარი ბელა ბერძენიშვილი

**ჩაწერა ელენე შინდაგორიძემ,**
ამბროლაურის რაიონი, სოფელი სხვავა.

ИНДЕКС 76177

б 23/70

ეროვნული ბიბლიოთეკა

